გერმანია და რუსეთი, ურთიერთდამოკიდებულების წინააღმდეგობრივი და ამბივალენტური ბუნებით, საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო წყვილს წარმოადგნენ. მათ შორის კავშირს თანაბრად შეიძლება ეწოდოს როგორც ტრადიციული მოწინააღმდეგეების, ისე - ტრადიციული პარტნიორების. მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის განმავლობაში ორ უდიდეს ომში გერმანია და რუსეთი მთავარ მოწინააღმდეგეებად გვევლინებოდნენ, ამავდროულად, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიახლოვემ, გერმანიის კანცლერის, ვილი ბრანდტის დროს ღიად გაცხადებული განსაკუთრებული დამოკიდებულების - „ოსტპოლიტიკის“ სახე მიიღო, რომელიც მეტნაკლები სახეცვლილებით, დღემდე აქტუალურია. დინამიურად და საინტერესოდ ვითარდებოდა ორ ქვეყანას შორის თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ცივი ომის დასრულების შემდეგად.

წინამდებარე სტატიაში გერმანულ-რუსული ურთიერთობების თავისებურება „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტის ანალიზის საფუძველზეა შესწავლილი. კვლევის შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული პროექტისთვის მხარის დაჭერით, გერმანია სრულ უპირატესობას ანიჭებს პროექტის ეკონომიკურ სარგებელს და უგულებელყოფს საკითხის პოლიტიკურ კონტექსტს, საფრთხეებსა და სამოკავშირეო ინტერესებს.

საკვანძო სიტყვები: გერმანია, რუსეთი, ჩრდილოეთის ნაკადი 2, ენერგოპოლიტიკა, ენერგოუსაფრთხოება, ევროკავშირი.

Abstract

Germany and Russia, with ambivalent and often controversial character of their relations,can be described as one of the most interesting couple in international affairs. They can be called traditional partners and traditional enemies simultaneously. During both World Wars Russia and Germany fought against each other, but later, hystorically close political and economic ties, were formulated as policy of special relations (“Ostpolitik”) by German Chancel-

* *ელფოსტა:* anaalania@yahoo.com

lor Willy Brandt. “Ostpolitik”, despite permanent adaptations, hasn’t lost importance until now. Relations of these two states continued to develop in a very interesting and dynamic manner after the Cold War as well.
In the presented article, the peculiarity of German-Russian relations is analyzed on the bases of “Nord Stream 2” pipeline project that is being constructed right now. As research reveals, Germany supports abovementioned project on the basis of feasible economic benefits, neglecting political context of the issue, security concerns and common European interests.

Key Words: *Germany, Russia , Nord Stream 2, Energy Policy, Energy Security, EU.*

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი გერმანია-რუსეთის ურთიერთობის თავისებურებას „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შემთხვევის შესწავლის საფუძველზე იკვლევს და ცდილობს უპასუხოს შემდეგ შეკითხვას - პროექტის პოლიტიკური ასპექტის უგულებელყოფით და მისი მხარდაჭერით, გერმანია ხელმძღვანელობს თუ არა მხოლოდ კომერციული ინტერესებით, თუ ეკონომიკურ სარგებელთან ერთად მისთვის მნიშვნელოვანია რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობის პოლიტიკური დივიდენდი და დასავლეთსა და რუსეთს შორის ერთგვარი მედიატორის ნიშის შენარჩუნება, რომელიც მას ათწლეულების განმავლობაში ჩამოუყალიბდა? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა და ზოგადად, გერმანია-რუსეთის ურთიერთობის კვლევა, აქტუალურია როგორც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისთვის, ისე უშუალოდ საქართველოსთვის, რამდენადაც ჩვენი ქვეყნის დასავლური ორიენტაცია და მისწრაფებები უშუალოდ არის დამოკიდებული წამყვანი ევროპული სახელმწიფოების, მათ შორის გერმანიის, გადაწყვეტილებებზე და იმ ბერკეტებზე, რომლებიც ამ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების კუთხით შეიძლება გააჩნდეს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს. აღსანიშნავია ისიც, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე ხშირად განხილული თემაა, განსაკუთრებით, რუსულ-უკრაინული დაძაბული ურთიერთობის ფონზე. პროექტის განხორციელება უშუალო ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს უკრაინის როგორც ენერგოუსაფრთხოებაზე, ისე მის ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში, რუსეთთან კონფლიქტის ფონზე, ისედაც საკმაოდ გართულებულია. ამგვარად, იქმნება ვითარება, როდესაც ევროპა, სწორედ გერმანიის განსაკუთრებული აქტიურობით, დიდ ძალისხმევას წევს უკრაინის ეკონომიკური მხარდაჭერისა და რუსეთთან კონფლიქტის გადაწყვეტის გზების გამოსანახად (მათ შორის მოსკოვისთვის სანქციების დაწესების გზითაც), თუმცა, ამავდროულად, ამავე პროცესს, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მხარდაჭერით, ართულებს.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის გათვალისწინებით, ქვეყნებს შორის დამოკიდებულების კვლევა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კავშირების მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე, წარმოუდგენელია. მით უფრო, როდესაც საკითხი სუპრანაციონალური ელემენტებით ყველაზე გაჯერებულ კავშირს და მის ერთ-ერთ წამყვან წევრს შეეხება. განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის, როგორც ევროკავშირის წევრის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის მიმართება კავშირის ერთიან პოზიციასთან, ვინაიდან სწორედ აქ ვლინდება ყველაზე ნათლად რუსეთთან დამოკიდებულების წინააღმდეგობრივი ხასიათი.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირში მიმდინარე შიდა დისკუსიისა და აზრთა სხვადასხვაობის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი რუსეთთან დამოკიდებულებას შეეხება. განსხვავებული ისტორიული გამოცდილებისა და უსაფრთხოების გარანტიების მქონე ქვეყნები ოფიციალურ მოსკოვთან კომუნიკაციის განსხვავებულ კურსს უჭერენ მხარს. აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების

დამოკიდებულება ტრადიციულად სკეპტიკურია, ისინი რუსეთში სანდო პოლიტიკურ პარტნიორს ვერ ხედავენ, მათთვის ამ ქვეყანასთან დაახლოება და მით უფრო მისთვის ნებისმიერი ტიპის უპირატესობის მინიჭება, რისკების შემცველია და მკვეთრად სახიფათოდ აღიქმება. ამავდროულად, ევროპის „ძველი“ სახელმწიფოები რუსეთთან დამოკიდებულებაში მეტი ჩართულობის ხაზს ემხრობიან, რაც მათი ზოგადი მოსაზრებით, რუსეთს დემოკრატიული განვითარების და საბოლოოდ სანდო პარტნიორად ჩამოყალიბების მეტ შესაძლებლობას აძლევს. სწორედ აღნიშნულ კურსს ემხრობა გერმანიაც. გერმანული პოლიტიკა რუსეთის მიმართ შეიძლება დავახასიათოთ, როგორც საერთო ევროპული და კერძო ინტერესების ბალანსის ერთგვარი მცდელობა.

ენერგოპოლიტიკა გერმანულ-რუსული, ისევე როგორც ზოგადად ევროპულ-რუსული ურთიერთობების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია და არაერთხელ გამხდარა დაპირისპირების საგანი, განსაკუთრებით ევროკავშირის ძველ და ახალ წევრებს შორის. „ჩრდილოეთის ნაკადის“ მეორე პროექტი, რომლის განხორციელება სწორედ ამ ეტაპზე მიმდინარეობს, კარგი ილუსტრაციაა რუსეთთან მიმართებით ევროპის ერთიან პოზიციასთან გერმანიის ერთგვარი წინააღმდეგობრიობის.

ამგვარად, კვლევის მიზანია გამოავლინოს გერმანიის რუსეთთან დამოკიდებულების პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების ბალანსი და იერარქია და ასევე, მათი მიმართება საერთო ევროპულ ინტერესებთან. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ევროპული და ჩრდილო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში გერმანიის როლზე დისკუსია არაერთხელ გამართულა (მათ შორის 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების თემის განხილვისას), ვფიქრობ, მნიშვნელოვანია საკითხის სამეცნიერო კუთხით შესწავლა, რაც შემდგომში მოგვცემს უფრო მაღალი დონის პოლიტიკური ანალიზის შესაძლებლობას.

კვლევის თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია

კვლევა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების (complex interdependence) თეორიულ ჩარჩოზეააწყობილი, რომელიც ჯოზეფ ნაიმ და რობერტ კოჰანმა 1977 წელს ჩამოაყალიბეს ცნობილ ნაშრომში „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება“ (Jackson and Sorensen, 2010). აღნიშნული თეორიის თანახმად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ურთიერთობები გაცილებით კომპლექსური ხასიათისაა და მასში უსაფრთხოების და თვითგადარჩენის ,,მაღალ პოლიტიკას" აღარ ენიჭება უპირობო უპირატესობა ეკონომიკის და სოციალური საკითხების ,,დაბალ პოლიტიკასთან" მიმართებით. ეს ორი ძირითადი მიზეზით არის განპირობებული: 1) სახელმწიფოთა შორის თანამედროვე დამოკიდებულებები აღარ შემოიფარგლება ექსკლუზიურად პოლიტიკურ ლიდერებს შორის ურთიერთობებით და აქ უკვე გვხდება ურთიერთდამოკიდებულება ბევრ სხვადასხვა დონეზე ბევრ სხვადასხვა აქტორს შორის; 2) ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის ტრანსნაციონალური ურთიერთობები მყარდება სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე. სამხედრო ძალა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ნაკლებად ხელსაყრელ პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცა და მეტი მნიშვნელობა ენიჭება სხვა ტიპის ისეთ რესურსს, როგორიცაა, მათ შორის, მოლაპარაკების ხელოვნება. სახელმწიფოები მეტ ყურადღებას აქცევენ სოციალურ პოლიტიკას. ამ პირობებში საერთაშორისო პოლიტიკა შიდა პოლიტიკის მსგავსად ყალიბდება და სხვადასხვა საკითხზე თანამოაზრე სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორთა ერთგვარი კოალიცია იქმნება, შესაბამისად, ჯგუფებს შორის კონფლიქტის დონეც საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. საერთო ჯამში, ნაი და კოჰანი ქვეყნებს შორის უფრო მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე მიუთითებენ, სადაც წამყვანი საკითხები ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ თემებზე თანამშრომლობით ყალიბდება.

აღნიშნული თეორია კარგად ხსნის გერმანიის „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-თან დაკავშირებით

არსებულ პოზიციას. გერმანიასა და რუსეთს შორის არსებული კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც სხვადასხვა აქტორთა - მათ შორის ბიზნესის, საზოგადოების, პოლიტიკური წრეების მონაწილეობით ყალიბდება, ქმნის იმ მოცემულობას, რომელშიც ბერლინისთვის, ერთი შეხედვით პოლიტიკურად სარისკო საკითხი, შესაძლოა, მხოლოდ კომერციულად მომგებიან პროექტად აღიქმებოდეს.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდს და ეგრეთ წოდებულ შემთხვევის შესწავლის (casestudy) დიზაინს. „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის პროექტთან დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტების, ასევე საკითხის მკვლევარების, ოფიციალური პირებისა და პოლიტიკოსების მოსაზრებების შესწავლის საფუძველზე, პასუხი გაეცემა საკვლევ შეკითხვას და გამოვლინდება მოდის თუ არა გერმანიის მხრიდან „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის პროექტის მხარდაჭერა ერთიან ევროპულ პოლიტიკურ და უსაფრთხოების პოლიტიკასთან წინააღმდეგობაში. იმ შემთხვევაში, თუკი შემთხვევის შესწავლა გამოავლენს, რომ პროექტის ეკონომიკური სარგებელი არასაკმარისად მაღალია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბერლინს უფრო მეტად საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი უნიკალური პოზიციის გამყარებისკენ და ოსტპოლიტიკის ხაზის გაძლიერებისკან სწრაფვა ამოძრავებს, სადაც ის დასავლეთსა და რუსეთს შორის ერთგვარ მედიატორად გვევლინება და შესაბამისი პოლიტიკური დივიდენდებით სარგებლობს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ნათელი იქნება კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის პრაქტიკული გამოხატულების მაგალითი, სადაც სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა აქტორთა ურთიერთქმედება, ეკონომიკური და კომერციული ინტერესი განაპირობებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. თუმცა, ცხადია, ერთი მეორეს არ გამორიცხავს და ბერლინი ერთი მხრივ ეკონომიურად მომგებიანი პროექტის მხარდაჭერით, შესაძლოა ამყარებდეს მოსკოვთან განსაკუთრებული ურთიერთობის ხაზს, რითაც ინარჩუნებს თავის უნიკალურ დიპლომატიურ ნიშას.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევა ძირითადად ევროპის ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტებს და ამავე საკითხზე მომუშავე მკვლევართა ნაშრომებს ეყრდნობა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ცვლილებები, რომელიც ევროპის ენერგოპოლიტიკამ განიცადა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, რისი შესწავლაც შესაბამისი რეგულაციებისა და დირექტივების საფუძველზე ხდება. მათ შორისაა 2009 წლის 2009/73/EC დირექტივა ევროპის ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრის ძირითადი წესების შესახებ; ასევე, მნიშვნელოვანია 2010 წლის №994/2010 რეგულაცია გაზის უსაფრთხო მიწოდების საკითხებთან დაკავშირებით, სადაც, ფაქტობრივად აღიარებულია ის გეოპოლიტიკური რისკები, რომელიც ევროპის ენერგობაზარზე რუსეთის დომინაციას შეიძლება მოყვეს. ნაშრომში ასევე განხილულია ევროკომისიის 2014 წელს ჩატარებული გაზის შესაძლო შეწყვეტის სცენარებთან დაკავშირებული სტრეს-ტესტების და შესაბამისი დასკვნების ამსახველი დოკუმენტი. საყურადღებოა ევროკომისიის 2015 წლის ბუნებრივი თხევადი გაზისა და გაზის მარაგების შესახებ გამართული კონსულტაციების დასკვნითი დოკუმენტიც, რომელიც ბაზრის დივერსიფიკაციისკენ მიმართული ძალისხმევის ნათელი მაგალითია. ენერგოპოლიტიკის საკვანძო დოკუმენტს მაინც 2014 წლის ევროპის ენერგოუსაფრთხოების სტრატეგია წარმოადგენს, რომელშიც გაერთიანებულია ევროპის თანამედროვე ენერგოპოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, ბაზრის ლიბერალიზაციის და ამავდროულად, დივერსიფიკაციის პრინციპები.

„ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის განხილვა წარმოუდგენელია შემთხვევის სამართლებრივი ანალიზის გარეშე. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, აღნიშნულ საკითხზე ისეთ მკვლევართა ნაშრომები, როგორებიცაა ანდრეას გოლდტაუ, ჰარვარდის კენედის სკოლის ასოცირებული პროფესორი და ლონდონის „კინგს კოლეჯის" რუსეთის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ასევე საიმონ პირანი და კატია

იაფიმავა, ოქსფორდის ენერგეტიკის შესწავლის ინსტიტუტის მეცნიერები. მათი ნაშრომები „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის შეფასება: რეგულაციები, გეოპოლიტიკა და ევროკავშირის, ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპისა და დიდი ბრიტანეთის ენერგოუსაფრთხოება“ და „რუსული გაზის ტრანზიტი უკრაინაზე 2019 წლის შემდეგ“, წარმოადგენს საკითხის სიღრმისეული შესწავლის მაგალითს და იძლევა არსებული ვითარების მრავალმხრივ, მათ შორის პოლიტიკური და სამართლებრივი კუთხით შეფასების შესაძლებლობას. გამოყენებულია ასევე ისეთი ელექტრონული გამოცემების ანალიტიკური სტატიები, როგორებიცაა Energy Post, Carngie Europe, Atlatic Council, მათ შორის კარელ ბეკმანის „შესაძლებელია თუ არა ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის შეჩერება“, აგათა ლოსკოტ-სტრაკოტას - „საქმე ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის წინააღმდეგ“, ჯუდი დემფსის - „(გერმანიის) ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის პოლიტიკა“, სიგბერნ დე იონგის „რატომ არ არის ჩრდილოეთის ნაკადი 2 მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის პრობლემა“ და სხვა.

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება, ცხადია, გამახვილებულია როგორც ცალკეული პოლიტიკოსების, ისე პოლიტიკური პარტიების პოზიციებზე გერმანიასა და მთლიანად ევროკავშირში. აღნიშნული ინფორმაცია მრავლადაა ხელმისაწვდომი საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ახალი ამბების არქივში. ფაქტობრივი დეტალებისთვის წყაროებად ასევე გამოყენებულია უშუალოდ „ჩრდილოეთის ნაკადისა“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის ოფიციალური ვებ-გვერდები.

ჩრდილოეთის ნაკადი 2

ევროპის ენერგობაზარი და ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკა

რუსეთსა და ევროპას შორის ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა სათავეს 1970-იანი წლებიდან იღებს, როდესაც საბჭოთა კავშირიდან დასავლეთ ევროპისთვის გაზის მიწოდება დაიწყო. ამას იმთავითვე მიეცა პოლიტიკური შეფასებები და ვაშინგტონის მხრიდან კრიტიკაც მოყვა, რომელიც მოსკოვთან მსგავს პარტნიორობას არასაიმედოდ მიიჩნევდა. აღსანიშნავია, რომ რუსეთმა შეძლო სტაბილური მიმწოდებლის რეპუტაციის შექმნა, რამდენადაც „ცივი ომის“ კრიტიკულ პერიოდებშიც კი, მას გაზის მიწოდება არ შეუწყვეტია. ვითარება ახლო წარსულში შეიცვალა, როდესაც რუსეთსა და უკრაინას შორის ტარიფსა და სატრანზიტო ფასებზე შეუთანხმებლობის გამო 2006-2009 წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ინციდენტი მოხდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი 2009 წლის იანვარში ევროკავშირის 16 წევრი ქვეყნისთვის გაზის 13 დღიანი შეწყვეტა იყო (BBC, 2009), რომელმაც მნიშვნელოვანი, მათ შორის ეკონომიკური ხასიათის, პრობლემები შეუქმნა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. სხვა ცნობილ მაგალითებს შორისაა ასევე 2006 წელს ლიტვასა და საქართველოსთვის, ხოლო 2007 წელს მოკავშირე ბელორუსისთვის გაზის შეწყვეტის შემთხვევები. ამან ევროპაში გაზის მიწოდების დივერსიფიკაციასთან დაკავშირებული დისკუსია მნიშვნელოვნად გააქტიურა და დაიწყო მუშაობა ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიაზე.

აღნიშნულმა ინციდენტებმა რუსეთის, როგორც სანდო პარტნიორის, რეპუტაციას ჩრდილი მიაყენა და ენერგოპოლიტიკა ევროპის უსაფრთხოების დღის წესრიგის სათავეში მოაქცია. პირველად ამის ოფიციალური დეკლარირება ევროკავშირის 2010 წლის რეგულაციაში მოხდა, რომელშიც ღია ჩანაწერი გაჩნდა გეოპოლიტიკურ რისკებზე და მიწოდების შესაძლო შეწყვეტის სცენარების შემთხვევაში სათანადო მზადყოფნის თაობაზე (Regulation (EU) No 994/2010, 2010). არსებობს არაერთი კვლევა რუსეთის მიერ ენერგორესურსების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების შესახებ, რომელთა დიდი ნაწილის დასკვნით, რუსეთისთვის ამგვარი პრაქტიკა ხშირი მოვლენაა. ასე მაგალითად, ერთ-ერთი კვლევა, რომელმაც 1991-დან 2005 წლამდე გაზის მიწოდების 55 შემთხვევა შეისწავლა, ასკვნის, რომ მათგან მხოლოდ 11 შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც წმინდად ტექნიკური და გამოირიცხოს პოლიტიკური მოტივი (Goldthau, 2016).ბოლოს 2014 წლის შემოდგომაზე კომპანია “Gazprom”-მა

ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე 50%-ით შეუმცირა მიწოდება პოლონეთს, სლოვაკეთს, ავსტრიასა და უნგრეთს, რომელთაგანაც უკრაინა გაზს რევერსული წესით ყიდულობდა (Zachmann, 2016).

ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიაზე მუშაობა 2014 წელს დასრულდა. დოკუმენტში დასაწყისშივე ხაზგასმულია ის გარემოება, რომ მიუხედავად ენერგოდამოუკიდებლობის და უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით ჩატარებული მნიშვნელოვანი სამუშაოებისა, ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოება მაინც საკმაოდ მოწყვლადია, რასაც მოხმარებაში იმპორტის მსხვილი წილის გარდა ისიც განაპირობებს, რომ ის არასაკმარისად დივერსიფიცირებულია და დიდი წილით ერთ კონკრეტულ მიმწოდებელზე - რუსეთის ფედერაციაზეა დამოკიდებული (European Energy Security Strategy, 2014). რუსეთის წილი ევროპის მთლიან ენერგომომარაგებაში 35%-დან 29%-მდე შემცირდა 2013-2015 წლებში, თუმცა 2016 წელს ისევ გაიზარდა 32%-მდე და ეს ტენდენცია წელსაც ნარჩუნდება, მიუხედავად 2014 წლიდან გამოცხადებული სანქციებისა, რომელიც ენერგეტიკის სფეროსაც მოიცავს (Eurostat, 2017).
რაც შეეხება უშუალოდ გაზმომარაგებას, აქაც, სანქციებისგან დამოუკიდებლად, რუსეთი ტრადიციულად ლიდერ პოზიციას ინარჩუნებს.



გრაფიკი 1. ***2010–2016 წლებში რუსული გაზის ექსპორტის დინამიკა ევროკავშირში.***
წითელი ფერით აღნიშნულია მოცულობა (მილიონი ტონა),
ხოლო ლურჯი ფერით ღირებულება (მილიარდი ევრო).

მას ნორვეგია და ალჟირი მოსდევენ, თუმცა შედარებით ნაკლები წილით. 2016 წელს რუსული გაზის წილი მთლიან იმპორტში 38.2%-ს შეადგენდა, რაც მცირედით აღემატებოდა 2015 წლის მაჩვენებელს (37.5%) (Eurostat, 2017).

მიმწოდებელი	ღირებულება (%)	მოცულობა (%)
რუსეთი	39.1	37.5

ნორვეგია	34.8	37.3
ალჟირი	11.6	10.6
ყატარი	7.9	8.3
ლიბია	2.6	2.3
ნიგერია	1.7	1.7
სხვა	2.3	2.3

ცხრილი 1. ევროკავშირში გაზის ძირითადი იმპორტიორები პროცენტული მაჩვენებლები, 2015

მიმწოდებელი	ღირებულება (%)	მოცულობა (%)
რუსეთი	39.7	38.2
ნორვეგია	34.1	35.8
ალჟირი	15.2	14.3
ყატარი	5.1	5.8
ნიგერია	2.1	2.1
ნლიბია	1.4	1.5
სხვა	2.4	2.3

ცხრილი 2.ევროკავშირში გაზის ძირითადი იმპორტიორები პროცენტული მაჩვენებლები, 2016

თუკი ცალკეული ქვეყნების მიხედვით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ევროკავშირის 10 წევრი (ბულგარეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვენია, სლოვაკეთი და ფინეთი) გაზის 75%-ზე მეტს რუსეთისგან იღებს, ხოლო რუსულ გაზზე ყველაზე ნაკლებად დამოკიდებული ის 12 ქვეყანაა (დანია, ბელგია, შვედეთი, ირლანდია, ესპანეთი, საფრანგეთი, ხორვატია კვიპროსი, ლუქსემბურგი, მალტა, პორტუგალია და დიდი ბრიტანეთი), რომელთა გაზის იმპორტში რუსეთის წილი 25%-ზე ნაკლებია.

ქვეყანა	რუსული გაზის პროცენტული წილი
ბულგარეთი	75-100
ჩეხეთი	75-100
ესტონეთი	75-100
ლატვია	75-100
ავსტრია	75-100
პოლონეთი	75-100
რუმინეთი	75-100
სლოვენია	75-100
სლოვაკეთი	75-100
ფინეთი	75-100
გერმანია	50-75
საბერძნეთი	50-75
უნგრეთი	50-75
იტალია	25-50
ლიტვა	25-50

ნიდერლანდები	25-50
ირლანდია	0-25
ბელგია	0-25
ესპანეთი	0-25
საფრანგეთი	0-25
ხორვატია	0-25
დანია	0-25
კვიპროსი	0-25
ლუქსემბურგი	0-25
მალტა	0-25
პორტუგალია	0-25
შვედეთი	0-25
დიდი ბრიტანეთი	0-25

ცხრილი 3. რუსული გაზის წილი ევროკავშირის წევრი ქვეყნების გაზის მთლიან იმპორტში, 2016

გერმანია ევროკავშირში ბუნებრივი გაზის ყველაზე მსხვილი იმპორტიორია (ევროკავშირის მთლიანი იმპორტის 20% მასზე მოდის), რომელსაც იტალია, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი - 10-20%-იანი, ხოლო ნიდერლანდები 5-10%-იანი წილით მოსდევენ. მათგან რუსეთზე ყველაზე დამოკიდებული გერმანიაა, რომლის იმპორტში რუსული გაზის წილი 50-75%-ით განისაზღვრება .

აღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა თანაბრად დაუცველ ვითარებაში არ არის და განსაკუთრებულად რთული აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის სახელმწიფოების მდგომარეობაა, როგორც ეს 2014 წელს ჩატარებულმა სტრეს-ტესტებმაც გამოავლინა (European Commission, 2014).

სტრეს-ტესტების საფუძველზე ევროკომისიამ შეიმუშავა უსაფრთხო ენერგოუზრუნველყოფის ახალი პაკეტი, რომელიც ევროპის ერთიანი ენერგოპოლიტიკის და ინტეგრაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია და ამავდროულად ენერგობაზარზე თავისუფალ კონკურენციას განამტკიცებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესურსების დივერსიფიკაციასა და ალტერნატიული წყაროების განვითარებას, მათ შორის გაზმომარაგებაში თხევადი ბუნებრივი აირის წილის გაზრდასდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას აშშ-დან, ავსტრალიიდან, ყატარიდან და აფრიკის კონტინენტიდან. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დამოუკიდებლად შემუშავდა ნატურალური თხევადი გაზისა და გაზის მარაგების სტრატეგიაც (European Commission, 2015). თვისებრივ სიახლეს წარმოადგენს ევროკომისიისთვის უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით წევრებსა და მესამე მიმწოდებელ ქვეყანას შორის ენერგოკონტრაქტების შესწავლის უფლების მინიჭება (Directive (EU) 2009/73/EC, 2009). ენერგოუსაფრთხოების გასაძლიერებლად დამატებითი რესურსები გამოიყოფა ენერგიის ალტერნატიული წყაროების კვლევისა და განვითარების, ასევე ინფრასტრუქტურის, მათ შორის სამხრეთ და ხმელთაშუა ზღვის კორიდორების განვითარების მიზნით (European Energy Security Strategy, 2014).

„ჩრდილოეთის ნაკადი 1“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ - პროექტების მოკლე მიმოხილვა და ძირითადი პარამეტრები

„ჩრდილოეთის ნაკადის“ პროექტის ისტორია სათავეს გასული საუკუნის ბოლოდან იღებს, როდესაც 1997 წელს რუსულმა კომპანია „Gazprom“-მა და ფინურმა „Neste“-მ დააარსეს ერთობლივი კომპანია „ჩრდილოეთის ტრანსგაზი“ ბალტიის ზღვის გავლით გაზის რუსეთის ჩრდილოეთიდან გერმანიის მიმართულებით ტრანსპორტირების მიზნით. „ჩრდილოეთის ტრანსგაზი“ თანამშრომლობდა ასევე

გერმანულ კომპანია „Ruhrgas"-თან. დაარსების პირველ წლებში ძირითადად კვლევითი სამუშაოები და რამდენიმე ალტერნატიული გზის შესწავლა მიმდინარეობდა. 2005 წელს „Fortum"-მა (ასე დაერქვა მოგვიანებით კომპანია „Neste"-ს), თავისი წილი „Gazprom"-ს მიჰყიდა, რითაც ეს უკანასკნელი „ჩრდილოეთის ტრანსგაზის" ერთადერთ მფლობელად იქცა. 2005 წელს „Gazprom"-მა გერმანულ კომპანია „BASF SE/Wintershall" და „E.ON Ruhrgas"-თან გააფორმა ჩრდილოეთ ევროპული გაზსადენის აშენების შესახებ ხელშეკრულება. აღნიშნულმა კომპანიებმა 2005 წლის დეკემბერში დააარსეს ჩრდილო ევროპული გაზსადენის კომპანია, რომელსაც მოგვიანებით - 2006 წლის 4 ოქტომბერს - „ჩრდილოეთის ნაკადი" ეწოდა. იმავე წელს „ჩრდილოეთის ტრანსგაზის" მიერ განხორციელებული ყველა კვლევა გადაეცა „ჩრდილოეთის ნაკადს", რის შემდეგაც „ჩრდილოეთის ტრანსგაზი" ოფიციალურად გაუქმდა. 2010 წელს დაიწყო პირველი სადგურის მშენებლობა. პირველი მილსადენი ექსპლუატაციაში 2011 წლის ნოემბერში გაეშვა, ხოლო მეორე 2012 წლის ოქტომბერში. თითოეული მილის წლიური გამტაროობა 27.5 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს (Nord Stream Official Web Page, 2016).

2015 წლის 5 სექტემბერს „Gazprom"-სა და მის 5 ევროპულ პარტნიორ კომპანიას შორის გაფორმდა „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის ხელშეკრულება, ხოლო მიმდინარე წლის 16 ივნისს გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით პირველი ტენდერიც დასრულდა. ახალი მილსადენი დიდწილად პირველი პროექტის ანალოგიურ ტრაექტორიაზე გაივლის. ისევე როგორც პირველ პროექტში, ამჯერადაც აშენდება წყვილი მილსადენი, რომელთა ჯამური გამტარუნარიანობა ასევე პირველის ანალოგიურად 55 მილიარდი კუბური მეტრი იქნება. პროექტს ოპერირებას გაუწევს კონსორციუმი „Zug"-ი, რომლის 50%-ის წილის მფლობელი რუსული „Gazprom"-ია, ხოლო დანარჩენი 10-10%-ის მფლობელები გერმანული „Uniper" და „Wintershell", ბრიტანული „Royal Dutch Shell", ავსტრიული "OMV" და ფრანგული "Engie" არიან (Nord Stream 2 - Official Web Page, 2016).

ჩრდილოეთის ნაკადის ორივე პროექტის ჯამური გამტაროობა 110 მილიარდი კუბური მეტრია, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. შედარებისთვის, 2015 წელს რუსული გაზის მთლიანი ექსპორტი ევროპასა და თურქეთში 130 მილიარდი კუბური მეტრი იყო. ამდენად, „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის ამოქმედების პირობებში, მიწოდების ყველა სხვა მაგისტრალი, მათ შორის უკრაინული ტრანზიტი, შესაძლოა უმოქმედო აღმოჩნდეს, მით უფრო, რომ ამის შესახებ „Gazprom"-ში უკვე აცხადებენ. კერძოდ, კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით, უკრაინასთან გაფორმებული სატრანზიტო ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ (2019 წელს) „Gazprom"-ი მის გაგრძელებას აღარ გეგმავს (Unian, 2015). აღნიშნული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას საკმაოდ მძიმე ფინანსური გავლენა ექნება უკრაინაზე, რომელიც ტრანზიტისგან მიღებულ 2 მილიარდ აშშ დოლარს დაკარგავს და ამასთან, შემცირდება ენერგოპროექტების განხორციელების თვალსაზრისით ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობაც. ანალოგიური ეფექტი ექნება სხვა სატრანზიტო ხაზებზეც, კერძოდ, პოლონეთისა და სლოვაკეთის გავლით. „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ რუსული გაზის 80% ევროპულ ბაზარზე ჩრდილოეთის ტრანზიტული ხაზით მოხვდება (Jong, 2016). ამასთან, „Gazprom"-ისაკუთრივ გერმანიის ბაზრის 50%-ს გააკონტროლებს.

ფაქტობრივად, „ჩრდილოეთის ნაკადი 2" წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების კონცეფციის ძირითად პოსტულატთან და აძლიერებს რუსეთის, როგორც მთავარი მიმწოდებლის დომინანტ პოზიციას. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ პროექტის მმართველ კონსორციუმში წილის 50%-ს "Gazprom"-ი ფლობს, თუმცა ცალსახაა ვინ იქნება გაზის 100%-ის მიმწოდებელი და გამანაწილებელი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მიწოდების არაგონივრულად მაღალი კონცენტრაცია გადადის ერთი სატრანზიტო ხაზის და ერთი მიმწოდებლის ხელში.



სურათი 1. წყარო: NordStream AG, http://www.nord-stream2.com

ევროპის ენერგოუსაფრთხოების სამართლებრივი ჩარჩო

ევროკავშირის ენერგოპოლიტიკა რეგულაციების სამ ძირითად პაკეტს მოიცავს, რომელთა ეტაპობრივმა შემოღებამ ევროპის ენერგობაზარზე თავისუფალი ბაზრის ზოგადი პრინციპები და კონკურენტული გარემოს პრიორიტეტები დაამკვიდრა. ამ მიზნისკენ საწყისი ნაბიჯები 1998 წელს შემუშავებული პირველი პაკეტით გადაიდგა. 2003 წლის განახლებული პაკეტით მესამე მხარისთვის არადისკრიმინაციული მიდგომის პრინციპის ინოვაციური ცნება გაჩნდა, რომელიც საბოლოოდ სრულფასოვნად 2009 წლის მესამე ენერგოპაკეტში ჩამოყალიბდა. სწორედ აღნიშნული პაკეტი განსაზღვრავს ევროპის თანამედროვე ენერგოპოლიტიკას. კიდევ ერთი თვისებრივი სიახლე, რომელიც მესამე პაკეტით დამკვიდრდა, ითვალისწინებს მილსადენის მფლობელისა და ოპერატორის დივერსიფიცირებას, რაც ერთი მიმწოდებლის მონოპოლიის გამორიცხვას ისახავს მიზნად. ამდენად, აღნიშნული წესების ერთობლიობა ქმნის ისეთ მოცემულობას, როდესაც პროდუქტის მიმწოდებელი და მილსადენის მფლობელი სხვადასხვა პირები არიან, ხოლო, ამავდროულად, ოპერატორს უჩნდება ინფრასტრუქტურის სარგებლობისთვის მესამე მხარისთვის თანაბარი პირობების მინიჭების ვალდებულება.

ისე როგორც სხვა ყველა რეგულაცია, მესამე ენერგოპაკეტის 2009/73/EC რეგულაცია ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრის შესახებ, აჩენს წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას (Directive (EU) 2009/73/EC, 2009). ის, ერთი მხრივ, უშვებს ახალი პროექტებისთვის ექსპლუატაციის პირველ წლებში ზემოაღნიშნული წესებისგან გათავისუფლების უფლებას (TANAP/TAP-ის პროექტისთვის უკვე დაშვებულია 25 წლიანი გამონაკლისი მესამე მხარისთვის ხელმისაწვდომობის წესიდან), ხოლო მეორე მხრივ, აქვე ჩნდება ეგრეთ წოდებული „მიწოდების უსაფრთხოების“ მუხლი, რომელიც მიმწოდებლისთვის უარის თქმის შესაძლებლობას უსაფრთხო მიწოდებასთან დაკავშირებით არსებული რისკების საბაბით უშვებს. აღნიშნულ მუხლს „Gazprom”-ის მუხლსაც“ კი უწოდებენ იმის გამო, რომ ის ცხადად იძლევა კონკრეტული გარემოების გარეშე და მხოლოდ უსაფრთხოების რისკებზე აპელირებით მომწოდებლისთვის უარის თქმის შესაძლებლობას, რაც ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ სწორედ რუსული კომპანიის ზეგავლენისგან თავის დაცვის მიზნით იქნება გამოყენებული (Goldthau, 2016).

აღსანიშნავია, რომ რუსეთმა „სამხრეთის ნაკადის“ პროექტი სწორედ აღნიშნულ რეგულაციებთან შეუთავსებლობის გამო შეაჩერა, რამდენადაც მესამე მხარისთვის ღია პირობების შეთავაზების, ასევე

მილსადენის მფლობელისა და ოპერატორის გამიჯვნის პრინციპების დაცვა, პროექტს კომერციულად წამგებიანს ხდიდა.

სამართალმცოდნეთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ექცევა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ მესამე ენერგოპაკეტის რეგულაციების ჩარჩოებში და ვის აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება - ევროკომისიას, თუ წევრ სახელმწიფოებს. (Goldthau, 2016). ახალი სერტიფიკატის მინიჭებისას მესამე პაკეტით გათვალისწინებული პირობების დაცულობა ეროვნულმა რეგულატორმა უნდა დაადასტუროს, მაგრამ გადაწყვეტილება ევროკომისიის მიერ უნდა იყოს გადამოწმებული, რაც ამ უკანასკნელს საბოლოო სიტყვის უფლებას ანიჭებს. თუმცა, მე-11 მუხლთან (უსაფრთხო მიწოდების რისკების არსებობა) დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ეროვნულ დონეზე ხდება.

მიმდინარეობს მსჯელობა პროექტის ორ დამოუკიდებელ ნაწილად განხილვაზეც. მომხრეთა მოსაზრებით, მილსადენებზე, მათ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე მესამე ენერგოპაკეტით გათვალისწინებული რეგულაციები არ ვრცელდება, რამდენადაც მილები ოფშორულ ზონაში, ზღვის ფსკერზე გაივლის და წარმოადგენს გაზის მხოლოდ იმპორტის და არა განაწილების წყაროს. ანალოგიური დასკვნა დადო იურიდიულმა სამსახურმა, რომელსაც შესაბამისი კითხვით ევროკომისიამ მიმართა. დასკვნის თანახმად, მესამე პაკეტის მოთხოვნები ვერ გავრცელდება შესაბამისი ქვეყნების ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონებსა და ტერიტორიულ წყლებზე (Beckman, 2016).

ამ კლასიფიკაციის სხვა მილებს (მათ შორის ლიბია-იტალიის „მწვანე ნაკადი“, ალჟირი-შაროკო-უსპანეთის „მაღრიბის ევროპული მილსადენი, ალჟირი-უსპანეთის „მედგაზი“) მესამე პაკეტის მოთხოვნები არ დაკისრებია ან გამონაკლისის უფლება მიენიჭათ (Pirani and Yafimava, 2016). ამ ფონზე „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მიმართ განსხვავებულ მიდგომას პოლიტიკური გადაწყვეტილების სახე ექნება და წინააღმდეგობაში მოვა სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს - კონკურენტული ბაზრის უზრუნველყოფის პრინციპთან. შესაბამისად, აღნიშნული მსჯელობის მომხრეთა მოსაზრებით, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მილსადენებისთვის შესაბამისი სერტიფიკატის გაცემაზე უფლება იმ ქვეყნებს აქვთ, რომელთა ტერიტორიულ წყლებსაც მილსადენები გაივლის (Beckman, 2016). ესენია რუსეთი, ფინეთი, შვედეთი, დანია და გერმანია. ცხადია, ამგვარ პოზიციას იზიარებს პროექტის მმართველი კონსორციუმიც. როგორც კონსორციუმის კომუნიკაციის ხელმძღვანელი ულრიხ ლისეკი აცხადებს, პროექტისთვის მნიშვნელოვანია ბრიუსელის პოზიცია, თუმცა არა გადამწყვეტი.

პროექტის მეორე ნაწილი - გამანაწილებელი ინფრასტრუქტურა, უკვე უშუალოდ კონტინენტური ევროპის ტერიტორიაზე იქნება განლაგებული, შესაბამისად ამ შემთხვევაში რეგულაციის მოთხოვნები სრულად გავრცელდება. აქ კი უკვე ერთვება რეგულაციის 36-ე მუხლი, რომელიც გამონაკლისის დაშვების წესს განსაზღვრავს. 36-ე მუხლი უშვებს რეგულაციის მთავარი პრინციპებისგან ახალი პროექტების დროებით განთავისუფლების გამონაკლისს, თუმცა ამავდროულად ადგენს ასეთი გამონაკლისისთვის აუცილებელ პირობას - ინფრასტრუქტურის მფლობელი უნდა იყოს ისეთი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სამართლებრივი ფორმით მაინც გამიჯნული იქნება სისტემის ოპერატორისგან. ამ ეტაპზე, აღნიშნული დათქმის გათვალისწინებით, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის შემთხვევაში გამონაკლისის დაშვების ამოქმედება შეუძლებელია, რამდენადაც მილსადენის 50%-ის და ამავდროულად ოპერატორი კონსორციუმის ანალოგიური წილის მფლობელი კომპანია “Gazprom”-ია.

აღსანიშნავია, რომ „ჩრდილოეთის ნაკადის“ პირველი პროექტის ტერიტორიული ინფრასტრუქტურული ნაწილი (OPAL) სწორედ 36-ე მუხლის გამონაკლისი პრინციპით სარგებლობს. თუ მხედველობაში მივიღებთ მოლაპარაკებათა იმ რთულ პროცესს, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიღებას უძღოდა წინ და ასევე, პირველი პროექტის ამოქმედების შემდეგ ევროპაში საგულისხმოდ შეცვლილ უსაფრთხოების არქიტექტურას, ნათელი ხდება, რომ ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის ტერიტორიული ინფრასტრუქტურისთვის (EUGAL) ანალოგიური გამონაკლისის მოპოვება გაცილებით გაძნელდება

(Goldthau, 2016). ამ პრობლემის თავიდან ასარიდებლად EUGAL-ის მშენებლობისა და ოპერირებისთვის სავარაუდოდ უკვე არსებული კომპანია Gascade იქნება გამოყენებული, რომელიც ჩრდილოეთ გერმანიის ტერიტორიაზე ოპერირებს. ამ გზით პროექტის შიდა ტერიტორიული ინფრასტრუქტურა შეძლებს მესამე პაკეტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

პროექტის ორ ნაწილად გაყოფის მოწინააღმდეგეთა არგუმენტით, „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის მილსადენებისა და გამანაწილებელი ინფრასტრუქტურის განცალკევება, მათ რეალურ ფუნქციას უკარგავს. ამასთან, ოფშორული მილსადენები 100 კილომეტრიან მონაკვეთს ევროკავშირის ტერიტორიული წყლების ქვეშ გაივლის, რაც იმას ნიშნავს, რომ სულ მცირე ამ მონაკვეთზე მაინც უნდა გავრცელდეს მესამე პაკეტის მოთხოვნები (Beckman, 2016). რაც შეეხება ზემოთ უკვე აღნიშნულ მსგავსი აღწერილობის მილსადენებს, მათთან ანალოგიის გავლება არასწორია, რამდენადაც მათი ექსპლუატაციაში გაშვების დროისთვის მესამე პაკეტის მოთხოვნები ჯერ არ მოქმედებდა, ხოლო ახლა, როდესაც შესაბამისი რეგულაციები ძალაშია, ბუნებრივად ჩნდება მისი გამოყენების აუცილებლობაც.

წინააღმდეგობა „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის პროექტთან დაკავშირებით

უკმაყოფილების გარეშე არ ჩაუვლია „ჩრდილოეთის ნაკადის" პირველი პროექტის განხორციელებას, თუმცა თუკი იმდროინდელი პოლიტიკური სურათი ქმნიდა პროექტის კომერციულ მხარეზე აქცენტირების შესაძლებლობას, ბოლო პერიოდში ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის მნიშვნელოვანი რყევების ფონზე, რაც 2014 წელს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებსა და ყირიმის ანექსიას უკავშირდება, „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ისთვის ამგვარი შესაძლებლობა ფაქტობრივად გამოირიცხა.

2016 წლის მარტში აღმოსავლეთ ევროპის 8 ლიდერმა „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის საწინააღმდეგო წერილი მისწერეს ევროკომისიას, სადაც პროექტის გეოპოლიტიკურ შედეგებზე ამახვილებენ ყურადღებას. „პროექტის განხორციელება სრულიად შეცვლის გაზის მიწოდების მიმდინარე სქემას და განსაკუთრებით უკრაინულ ტრანზიტს", - აღნიშნულია წერილში, რომელსაც ხელს ჩეხეთის, ესტონეთის, უნგრეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, სლოვაკეთის და რუმინეთის ლიდერები აწერენ (Sytas, 2016). ანალოგიურ პოზიციას იზიარებს ევროკომისიის პრეზიდენტი ჟან-კლოდ იუნკერი, რომელიც აცხადებს, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის პროექტის გარშემო მიმდინარე მსჯელობა სამართლებრივი დისკუსიის ფარგლებს სცდება, რამდენადაც ის ცვლის ევროკავშირის გაზის ბაზრის სურათს და ერთ მიმწოდებელს აშკარად უპირატეს მდგომარეობაში აყენებს (Baczynska and Carbonnel, 2016). ევროპის ერთიანი ენერგოუსაფრთხოების კონცეფციასთან პროექტის წინააღმდეგობრივ ხასიათზე საუბრობენ კლიმატისა და ენერგეტიკის საკითხებში ევროკომისარი არიას კანეტე და ევროკომისრის მოადგილე ენერგოკავშირის პროექტის საკითხებში მაროს სეფკოვიჩი (Beckman, 2016).

გარდა იმისა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2" ევროპის ბაზარზე რუსეთის, როგორც ენერგოპროვაიდერს როლს კიდევ უფრო ზრდის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს იმ მნიშვნელოვანი შემოსავლის გარეშე ტოვებს, რომელსაც ისინი ტრანზიტის მომსახურებისთვის იღებენ (ეს განსაკუთრებულად უკრაინას შეეხება), ახალი პროექტი მოსკოვს იმის შესაძლებლობასაც აძლევს, რომ მან ევროპის აღმოსავლეთ ნაწილს გაზის მიწოდება დასავლეთ ევროპის გაზმომარაგების შეზღუდვის გარეშე შეუწყვიტოს. ამგვარად, იქამდე, ვიდრე ევროპის გაზის ბაზარი არ არის ბოლომდე ინფრასტრუქტურულად ინტეგრირებული, აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნები ენერგო-უსაფრთხოების კუთხით კიდევ უფრო მოწყვლად მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ევროპელ პოლიტიკოსთა ნაწილი, სწორედ ამ არგუმენტით სოლიდარობასაც საკმარის საფუძვლად მიიჩნევს "ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის შესაჩერებლად და თვლის, რომ უკრაინის კიდევ უფრო

დასუსტების უფლება რუსეთს არ უნდა მიეცეს. „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის აქტიური კრიტიკოსი და რუსეთის საკითხების მკვლევარი ანდერს ასლუნდი თავის პუბლიკაციაში აღნიშნავს, რომ უკრაინისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვება. ამ პირობებში, ევროპის მხრიდან, ერთი მხრივ, უკრაინის მხარდაჭერა, ხოლო მეორე მხრივ, „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტის ხელშეწყობა ალოგიკურია (Aslund, 2016).

რუსეთისგან გაზის შესყიდვის თაობაზე ერთიანი პოზიციისა და ენერგოკავშირის შექმნის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ 2014 წელს საუბრობდა ევროსაბჭოს პრეზიდენტი და პოლონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დონალდ ტუსკი. „მიუხედავად იმისა, თუ როგორ დასრულდება უკრაინის გარშემო შექმნილი რთული ვითარება, ერთი გაკვეთილი ნათელია: რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულება ევროპას ასუსტებს“, - ასე იწყება 2014 წელს “Financial Times”-ში გამოქვეყნებული ტუსკის პუბლიკაცია. მისი მოსაზრებით, წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ რუსეთი დაბალ ფასებს აწესებს, მცდარია, ყოველი შემთხვევისთვის ზოგიერთი მომხმარებლისთვის მაინც და ეს სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს საბაზრო ეკონომიკის პრინციპიდან - დომინანტ მიმწოდებელს შეუძლია შეამციროს მიწოდება და ასწიოს ფასი. გამოსავალს ევროკომისიის პრეზიდენტი ევროპის შეთანხმებულ პოზიციაში ხედავს (Tusk, 2014).

პოლონეთმა კონკრეტული ნაბიჯი გადადგა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის განხორციელების წინააღმდეგ, როდესაც ქვეყნის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სააგენტომ უარი განაცხადა დაედასტურებინა პროექტის მმართველი კონსორციუმის მიერ მიღებული ცნობა მილსადენის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ, იმ საფუძვლით, რომ პროექტი ეწინააღმდეგება თავისუფალი კონკურენციის ევრორეგულაციით გათვალისწინებულ პრინციპს (Dempsey, 2016).

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 26 ივნისს ევროკავშირის 13 წევრის ძალისხმევით, ოფიციალური ბერლინის წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაწყდა, რომ შემოდგომაზე გაიმართება კენჭისყრა, სადაც ევროკავშირი მიიღებს გადაწყვეტილებას, მიანიჭოს თუ არა ევროკომისიას „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის საკითხზე რუსეთთან ევროკავშირის ერთიანი სახელით მომლაპარაკებლის ოფიციალური სტატუსი (Carbonnel, 2017).

გერმანიის პოზიცია

აღსანიშნავია, რომ გერმანია საკმაოდ გამორჩეულია ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალებს შორის საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე აზრთა სხვადახვაობით. „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტთან დაკავშირებით კანცლერ მერკელის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიისა და ოპოზიციური მწვანეთა პარტიის წამყვანი წევრები, იზიარებენ პროექტის საწინააღმდეგო მოსაზრებას. პარლამენტართა ეს ნაწილი არ მიიჩნევს გონივრულად ევროპული კომპანიების მიერ რუსული პროექტის დაფინანსებას ევროპაში რუსული გაზის იმპორტის გაზრდის მიზნით. მათი მოსაზრებით, ეს არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური საკითხია; ხოლო ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც რუსეთისთვის დამატებითი სახსრები მოაქვს, არ შედის ევროპის ინტერესებში, ვინაიდან აღნიშნულ სახსრებს რუსეთი მათ შორის იმგვარ ქმედებებზე მიმართავს, როგორიც უკრაინასა თუ სირიაში სამხედრო კამპანიებია (Dempsey, 2016).

ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ნორბერტ როტგენი, რომელიც ბუნდესტაგში საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტს ხელმძღვანელობს და მწვანეთა პარტიის წარმომადგენელი რეინარდ ბუტიკოფერი Frankfurter Allgemeine-ში გამოქვეყნებულ სტატიაში აცხადებენ, რომ პროექტი მორალურადაც და პოლიტიკურადაც გაუმართლებელია (Wehner, 2016). „ქვეყანას, რომელიც სრულიად უგულებელყოფს საერთაშორისო და ომის სამართლის პრინციპებს, ჩვენ ახალი ბიზნეს-პროექტით არ უნდა ვაჯილდოვებდეთ“, - აღნიშნავს როტგენი.

პროექტის განხორციელებას ემხრობა ანგელა მერკელის კოალიციური პარტნიორი სოციალ-

დემოკრატიული პარტია; განსაკუთრებით აქტიურ მხარდამჭერებს შორისაა ამავე პარტიის ლიდერი და ქვეყნის ეკონომიკის მინისტრი სიგმარ გაბრიელიც.

განსაკუთრებით საინტერესო გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის პოზიციაა, რომელიც, ერთი შეხედვით, შეუსაბამოდ გამოიყურება რუსეთთან მიმართებით მის (წინამორბედთან შედარებით) საკმაოდ მკაცრ პოლიტიკურ ხაზთან. სწორედ ანგელა მერკელის მმართველობის პერიოდში, გერჰარდ შრიოდერის ღიად პრორუსული და ოსტპოლიტიკის საფუძველზე განვითარებული პოლიტიკა ბევრად ზომიერი და რიგ შემთხვევებში კონფრონტაციული მიდგომით ჩანაცვლდა (Dempresy, 2016). უკრაინის კრიზისის საკითხზე ანგელა მერკელი ერთ-ერთ მთავარ მომლაპარაკებლად და ერთიანი ევროპული პოზიციის აქტიურ დამცველად მოგვევლინა. მტკიცე იყო მერკელის პოზიცია ამავე თემაზე რუსეთის სანქცირებასთან დაკავშირებით. ამ ფონზე მისი მხრიდან „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-თვის „წმინდად კომერციული“ პროექტის კვალიფიკაციის მინიჭება (Steinhauser, 2015) ერთგვარი მოულოდნელობა აღმოჩნდა.

მომხრეთა არგუმენტები

„ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მომხრეები პროექტის რაციონალურ-რენტაბელურ მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას. მათი მოსაზრებით, გადაჭარბებულია შეფასება, რომ პროექტის ამოქმედება ევროპის ბაზარზე რუსული გაზის მიწოდებას და შესაბამისად მის წილს მნიშვნელოვნად გაზრდის. ახალი მაგისტრალური არხი თავისთავად არ გულისხმობს გაზრდილ მიწოდებას, არამედ აქცენტი კეთდება მიწოდების ალტერნატიულ გზებზე, რაც კარგად შეესაბამება ევროკავშირის მესამე ენერგოპაკეტით გათვალისწინებულ ბაზრის ლიბერალიზაციის პრინციპებს და ხელს უწყობს კონკურენტულ გარემოს. ფასის გაზრდილი კონკურენცია კი ბაზრის ისეთ წამყვან მოთამაშეებს, როგორიც ამ შემთხვევაში „Gazprom”-ია, მუდმივი კონტროლის ქვეშ აქცევს. ხოლო იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთიდან იმპორტირებული გაზის მოცულობა გაიზრდება, ეს შესაბამისობაში იქნება ევროპის ასევე გაზრდილ მოთხოვნასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ პროცენტული წილი მნიშვნელოვნად არ შეიცვლება (Pirani and Yafimava, 2016).

„ჩრდილოეთი ნაკადი 2“-ის მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის ენერგო-პოლიტიკა, სტრატეგია და რეგულაციები, ქმნის საკმარისად გამართულ სამართლებრივ ჩარჩოს იმისთვის, რომ რომელიმე ერთი მოთამაშე არ აღმოჩნდეს დომინანტურ პოზიციაში. რეგულაციების შესაბამისი დაცვა და ევროკომისიის მიერ კონკურენციის პირობების სათანადო კონტროლი, უზრუნველყოფს იმას, რომ „Gazprom”-ს ბაზარზე მისი მსხვილი წილისა და მარაგების ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილის კონტროლის მიუხედავად, არ მიეცეს ფასით მანიპულაციის შესაძლებლობა (Goldthau, 2016).

პროექტის მომხრეთა კიდევ ერთი არგუმენტი ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიის მნიშვნელოვანი პოსტულატიდან ამოდის, რომელიც ენერგობაზრისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მაქსიმალურ ინტეგრაციას ითვალისწინებს. კარგად გამართული და ურთიერთდაკავშირებული ინფრასტრუქტურის პირობებში, ევროკავშირის ნებისმიერი წევრი ქვეყანა დაცულია გაზის მიწოდების როგორც ტექნიკური, ისე პოლიტიკური მიზეზებით შეწყვეტის დროს. ბაზრის ინტეგრაცია და გამართული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს დაზღვევას ფასის გაზრდის და მარაგის სიმწირის წინააღმდეგაც. ანალოგიური არგუმენტი ისმის მაშინაც, როდესაც საუბარია „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის ამოქმედების შემდეგ დღეს არსებული ტრანზიტული ხაზების სავარაუდო გაუქმებაზე, რაც დიდ ფინანსურ ზარალს მოუტანს აღმოსავლეთ ევროპის შესაბამის ქვეყნებს, მათ შორის პოლონეთს, სლოვაკეთს და რაც დღეს ყველაზე აქტუალურია, უკრაინას. აღნიშნული არგუმენტის მომხრეები უკრაინას ენერგო-ინფრასტრუქტურის და ადგილობრივი პოტენციალის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვისა და ევროპულ ენერგოსისტემასთან მეტი ინტეგრაციისკენ მოუწოდებენ, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს

მის პოზიციას და უზრუნველყოფს ენერგო-უსაფრთხოების გრძელვადიან და სატრანზიტო ბერკეტის ფლობაზე უფრო ეფექტიან დაცვას. ანალოგიური შეიძლება ითქვას ევროკავშირის აღმოსავლეთ სახელმწიფოებზე, რომლებიც ინტეგრირებული ბაზრითა და გაზრდილი მარაგით უფრო დაცულები იქნებიან, ვიდრე ტრანზიტული ხაზის კონტროლით.

კონკრეტული ქვეყნების მიერ სატრანზიტო ხაზების კონტროლის შემცირების უპირატესობა „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის მომხრეთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია. მიუხედავად იმისა, რომ ახალი მაგისტრალების ამოქმედება დღეს არსებული ხაზების უპირობო გაუქმებას არ გულისხმობს, ცხადია, რომ მათი დატვირთვა და ფუნქცია შემცირდება. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „სატრანზიტო მონოპოლიის" პირობებში ფასით მანიპულაციის, პოლიტიკური სპეკულაციების და შესაბამისად მიწოდების შეზღუდვის რისკები საკმაოდ მაღალია. ამიტომ ლოგიკურია, რომ დასავლეთ ევროპული სახელმწიფოებისთვის უფრო ხელსაყრელი გაზის ისეთი გზით მიღება იყოს, სადაც მსგავსი მანიპულაციების რისკი მცირდება, ხოლო მასზე უარის თქმას ერთგვარად „სოლიდარობის" ფორმა უფრო ექნება, ვიდრე პრაგმატული მიდგომის (Goldthau, 2016). მითუფრო მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დღეს უკვე აქტიურად სარგებლობენ გაზის რევერსული მიწოდების პრინციპით, ხოლო ევროპის ენერგობაზრისა და ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო ინტეგრაცია და განვითარება, მათი ენერგოუსაფრთხოების რისკებს სულ უფრო ამცირებს.

დასკვნა

ცალსახაა, რომ მოკლევადიანი მიზნებისთვის „ჩრდილოეთის ნაკადი 2" როგორც გერმანიისთვის, ისე ევროპის წამყვანი სხვა სახელმწიფოებისთვის შეიძლება ხელსაყრელ პროექტად ჩაითვალოს. ალტერნატიული მაგისტრალი ამცირებს ტექნიკური თუ პოლიტიკური მიზეზით რუსეთიდან გაზის მიწოდების შეფერხების და შესაბამისად, ევროპის დიდი ნაწილის გაზმომარაგების გარეშე დარჩენის რისკებს. ამასთან, საკუთრივ გერმანიის როლი ევროპის გაზის განაწილებაში მნიშვნელოვნად იზრდება, ვინაიდან მაგისტრალით გაზი უშუალოდ გერმანიას მიეწოდება. შესაბამისად, იზრდება გერმანული და ავსტრიული ენერგოჰაბების დატვირთვა და შესაძლოა მათი შერწყმაც განაპირობოს. ეს ადგილობრივ კომპანიებს დამატებითი ინფრასტრუქტურის განვითარების და შემოსავლის გაზრდის შესაძლებლობას უხსნის.

თუმცა, მეორე მხრივ, ასევე ნათელია, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2" ევროპის და განსაკუთრებით გერმანიის გაზის ბაზარზე რუსული გაზის წილის გაზრდისთვის საკმარისზე დიდ პოტენციალს ქმნის და კონკრეტულ მიმწოდებელს ტრანზიტის კონტროლის, შიდა გამანაწილებელ ინფრასტრუქტურაზე გავლენის გაძლიერების და კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ბერკეტებს აძლევს. უპირატესობა კი, როგორიც არ უნდა იყოს ის, რუსეთის ხელში ყოველთვის შეიძლება იქცეს პოლიტიკურ აქტივად, საჭიროებისამებრ.

პროექტი ზიანს აყენებს ევროკავშირში ერთიანობას, რამდენადაც საკმაოდ მნიშვნელოვან ენერგოპოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხზე დაპირისპირებას იწვევს. მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში „ჩრდილოეთის ნაკადი 2" აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების ენერგოუსაფრთხოებას კიდევ უფრო მოწყვლად მდგომარეობაში აყენებს და ამასთან, აუარესებს იმ ქვეყნების ფინანსურ მდგომარეობას, რომლებიც ამჟამინდელი სატრანზიტო ხაზებით სოლიდურ სარგებელს იღებენ. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ამ ეტაპზე, ცხადია, უკრაინაა.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვინაიდან „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის ეკონომიკური ხასიათის სარგებელი ცალსახაა, მისი მხარდაჭერით გერმანია ცხადად ხელმძღვანელობს კომერციული ინტერესებით და ამ შემთხვევაში მოსკოვთან ტრადიციული პარტნიორობის ნიშის შენარჩუნების პოლიტიკური მიზანი არ იკვეთება. ამასთან, პროექტის მიმართ ევროკავშირში წინააღმდეგობის ძალიან მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, ბერლინი ვერც ევროკავშირსა და რუსეთს შორის ხიდის ფუნქციის

შესრულებას ახერხებს და ქმნის კავშირის ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკასთან საკუთარი ეკონომიკური ინტერესით დაპირისპირების პრეცენდენტს.

ბიბლიოგრაფია

Aslund, A. (2016, April). *Securing Ukraine's Energy Sector.* Retrieved December 2016, from http://www.atlanticcouncil.org/: http://www.atlanticcouncil.org/images/publications/Securing_Ukraine_s_Energy_Sector_web_0404.pdf

Baczynska and Carbonnel. (2016, June 16). Exclusive: EU's Juncker says doubts over Nord Stream 2 pipeline plan 'beyond legal'.

BBC. (2009, January). *European Gas Supplies Disrupted*. Retrieved November 2016, from news.bbc.co.uk.

Beckman, K. (2016, April 14). *Can Nord Stream 2 be stopped?* Retrieved December 2016, from http://energypost.eu/: http://energypost.eu/can-nord-stream-2-stopped/

Carbonnel, A. d. (2017, June 26). Thirteen EU nations back plan for talks with Russia over gas pipeline. *Reuters* .

Dempresy, J. (2016, January 25). *Germany, Dump Nord Stream 2.* Retrieved November 2016, from http://carnegieeurope.eu/: http://carnegieeurope.eu/strategiceurope/62567

Dempsey, J. (2016, November 3). *The (German) Politics of Nord Stream 2.* Retrieved December 2016, from http://carnegieeurope.eu/: http://carnegieeurope.eu/strategiceurope/65028

Directive (EU) 2009/73/EC. (2009). *DIRECTIVE 2009/73/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL concerning common rules for the internal market in natural gas and repealing Directive 2003/55/EC.* Brussels.

European Commission. (2015). *Consultation on an EU strategy for liquefied natural gas and gas storage*. Retrieved December 2016, from https://ec.europa.eu/energy/: https://ec.europa.eu/energy/sites/ener/files/documents/LNG%20consultation%20-%20publication.pdf

European Commission. (2014, October). *Stress tests: cooperation key for coping with potential gas disruption* . Retrieved November 2016, from http://ec.europa.eu/energy/: http://ec.europa.eu/energy/sites/ener/files/documents/MEMO-14-593_EN.pdf

European Energy Security Strategy. (2014). *COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND THE COUNCIL.* Brussels.

Eurostat. (2017). *EU imports of energy products - recent developments.* Eurostat.

Gazprom Export Global Newsletter. (2016, December). Gazprom sets records in daily gas exports. *Blue Fuel* .

Goldthau, A. (2016). *Assessing Nord Stream 2: regulation, geopolitics & energy security in the EU, Central Eastern Europe & the UK*. London: King Collage.

Jackson and Sorensen. (2010). *Introduction to International Relations.* New York: Oxford University Press.

Jong, S. D. (2016, August 11). *Why Nord Stream 2 is Not Only Eastern Europe's Problem.* Retrieved November 2016, from www.atlanticcouncil.org: http://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/why-nord-stream-ii-is-not-only-eastern-europe-s-problem
Loskot-Strachota, A. (2015, November 23). *The case against Nord Stream 2.* Retrieved November 2016, from http://energypost.eu/: http://energypost.eu/case-nord-stream-2/
Nord Stream 2 - Official Web Page. (2016). Retrieved December 2016, from www.nord-stream2.com: https://www.nord-stream2.com/company/shareholder-and-supporters/
Nord Stream Official Web Page. (2016). Retrieved December 2016, from www.nord-stream.com: http://www.nord-stream.com/the-project/history/
Pirani and Yafimava. (2016). *Russian Gas Transit Across Ukraine Post-2019.* Oxford: Oxford Institute for Energy Studies.
President of Russia. (2015, October 28). *Meeting with Vice-Chancellor and Minister of Economic Affairs and Energy of Germany Sigmar Gabriel*. Retrieved November 2016, from http://en.kremlin.ru/: http://en.kremlin.ru/events/president/news/50582
Regulation (EU) No 994/2010. (2010). *REGULATION (EU) No 994/2010 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL.*
Steinhauser, G. (2015, December 18). Germany's Merkel Defends Russian Gas Pipeline Plan. *Wall Street Journal* .
Sytas, A. (2016, March 16). EU leaders sign letter objecting to Nord Stream-2 gas link.
Tusk, D. (2014, April). A United Europe Can End Russia's Energy Straglehold. *Financial Times* .
Unian. (2015, June 9). *Gazprom warns it will stop gas transit through Ukraine after 2019.* Retrieved November 2016, from http://www.unian.info/: http://www.unian.info/economics/1087184-gazprom-warns-it-will-stop-gas-transit-through-ukraine-after-2019.html
Wehner, R. (2016, November 1). Widerstand gegen Putins Pipeline wächst. *Frankfurter Allgemeine* .
Zachmann, G. (2016). Nord Stream 2: a bad deal for Germany and Eastern Europe. *Bruegel* .

http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/EU_imports_of_energy_products_-_recent_developments

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №5, ივლისი, 2017

Journal of Young Researchers, No. 5, July, 2017

საერთაშორისო დახმარება განვითარებისთვის და საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია 21-ე საუკუნეში

შორენა ლორთქიფანიძე [*]

დოქტორანტი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, საერთაშორისო დახმარებას განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის. 90-იან წლებში, საქართველო არშემდგარი[1] სახელმწიფოების ჯგუფში შედიოდა. მან პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის, ფართოდ გაუღო კარი საერთაშორისო დახმარების პროგრამებს, რომლებიც ორმხრივ თუ მრავალმხრივ ფორმატში დღემდე ხორციელდება. ეს პროცესი საინტერესო დინამიკით ხასიათდება, როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო დახმარების თემატური განვითარება და დაფინანსების რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდისა და კლების ტენდენციები საერთაშორისო და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისი თეორიული ჩარჩოს მიხედვით შეფასებულია მისი გავლენა და მნიშვნელობა სახელმწიფოს განვითარების პროცესში.

ნაშრომში მიმოხილულია განვითარების პოლიტიკის დღევანდელი კონტექსტი და მისი მომავალი, არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ უსაფრთხოების კრიზისების ფონზე; ასევე ფოკუსირებულია სახელმწიფოებისა და საზოგადოების განვითარების თეორიული მექანიზმები, რაც მოიცავს შიდა და გარე ფაქტორების გავლენას სახელმწიფოს განვითარების პროცესზე. საერთაშორისო დახმარება განვითარებისთვის განიხილება, როგორც ერთ-ერთი მამოტივირებელი მექანიზმი სახელმწიფოების მშენებლობისა და განვითარების პროცესში.

სტატიაში წარმოდგენილია განვითარების პოლიტიკის ასახვის ტენდენციები საქართველოში. ბოლოს კი გაანალიზებულია განვითარებისა და დემოკრატიის თვალსაზრისით მიღწეული შედეგების მდგრადობა და სოციალური კაპიტალის გამძლეობა (resilence) არსებული შიდა და საერთაშორისო გამოწვევების კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო განვითარება, დემოკრატია, ტრანსფორმაცია, დემოკრატიზაცია, სამოქალაქო საზოგადოება, საერთაშორისო დისკურსები.

---

[*] *ელფოსტა:* Shorena.lortkipanidze@tsu.ge

[1] ტერმინი არშემდგარი სახელმწიფოები ახასიათებს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ვერ ასრულებენ ოთხ უმთავრეს ფუნქციას: თანასწორი ეკონომიკური ზრდისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა; ლეგიტიმური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა და ფუნქციონირება; მოსახლეობის დაცვა ძალადობრივი კონფლიქტებისგან და საკუთარი ტერიტორიის კონტროლი, მოსახლეობის ძირითადი ადამიანური საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა (The Brooking Institution 2008: 3). არშემდგარი სახელმწიფოების ინდექსი მშვიდობის ინსტიტუტის მიერ შექმნილი ანალიტიკური ინსტრუმენტია, რომელმაც 2005 წლიდან სახელი შეიცვალა და გახდა „მყიფე, სუსტი სახელმწიფოების ინდექსი“.

Abstract

In the process of building of the modern state international development assitance was crucial for Georgia. In 90s of 20th century Georgia was qualified as a failed state. In this period international development aid was indispensable. Georgia widely opened the doors for bilateral and multilateral international development assistance programs. This process is characterized with interesting dynamics from academic and practical perspective. The article analyses thematic evolution of international aid programs, as well as trends in financing with account of international and local context. With the relevant theoretical framework the impact and importance of international development aid is assessed in the state building process.

The article will discuss existing context of international development aid and will look into its future taking into consideration existing political, economic and security crisis. It will also focus on the theoretical perspectives of state development. International development assistance is regarded as one of the exogenous factors of state-building. The article will focus on development trends in Georgia based on work of the international development programs, as well as will analyse involvement of society in the democratization process. The resilience of social capital in the current internal and international crisis will be also discussed.

Key words: *International development assistance, democracy, transformation, democratization, civil society, international discourses.*

შესავალი

პოსტ-საბჭოთა სივრცეში, საერთაშორისო დახმარების პროგრამები ახალი ინტენსივობით 2000-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო, დაიტვირთა ახალი სფეროებით (სიღარიბის დაძლევა, დემოკრატია, სამოქალაქო ინტეგრაცია, ეკონომიკის განვითარება, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა და ა.შ.). მთელი ეს პროცესი ინტერესს იწვევს რამდენიმე თვალსაზრისით: პირველი– ეტაპობრივად მოხდა საქართველოს განვითარების მიმართულების ჩამოყალიბება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების მხარდაჭერით. ეს პროცესი თავის მხრივ, საერთაშორისო კონცეპტუალური და სტრატეგიული ჩარჩოს ნაწილი იყო და არის დღემდე; მეორე– საერთაშორისო ინსტიტუტებმა გაითვალისწინეს მესამე სამყაროს ქვეყნებში მუშაობის წინა გამოცდილება, თუმცა იმავდროულად მნიშვნელოვნად შეცვალეს მიდგომები (მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობა ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა, რომელიც სწორედ, ცივი ომის შემდგომ გათავისუფლებულ ქვეყნებში წარმოადგენდა აქტუალურ თემას ტოტალიტარული რეჟიმის გამოცდილების საპირწონედ); მესამე ასპექტს წარმოადგენს განვითარების პოტენციალი სოციალური კაპიტალის შექმნის თვალსაზრისით და ცვლილების დასავლური კონცეფციის შესაბამისობის ანალიზი არსებული პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი, ისტორიული და კულტურული ტრადიციის გათვალისწინებით.

მე–20 საუკუნის 60–იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეინიშნება სიღარიბის დაძლევის კუთხით. ათასწლეულის განვითარების მიზნებმა თავისი როლი შეასრულა განვითარების დღის წესრიგის შექმნასა და განხორციელებაში; გაუმჯობესებულია ის სფეროები, რომელიც დემოკრატიის თვალსაზრისით, ათასწლეულის განვითარების მიზნებში იყო ჩამოყალიბებული, ამის მიუხედავად, ამ კუთხით ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა.

"ფრიდომ ჰაუსის" ბოლო ანგარიშის მიხედვით, „2016 წელი ხასიათდებოდა გლობალური თავისუფლების კლებით, რომელიც გრძელდება უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში".[2] დემოკრატიზაცია მრავალგანზომილებიანი პროცესია, რომელზეც გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორები, ასევე საერთაშორისო ტენდენციები და დისკურსები.

მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია ტრიანგულაციური მიდგომა, კერძოდ კი, შემდეგი თვისებრივი კვლევის მეთოდები: ლიტერატურის მიმოხილვა, მეორადი მონაცემების ანალიზი, შემთხვევის (case study) ანალიზი, ექსპერტული ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები და დისკურსის ანალიზი.
კვლევის მეთოდოლოგიური მხარე ეყრდნობა არსებული მასალების ანალიზს, კერძოდ: სამეცნიერო სტატიებს, წიგნებს, ოფიციალურ დოკუმენტებს, ანგარიშებს, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და დახმარების მიმღები ქვეყნების ოფიციალურ ანგარიშებს, სტრატეგიულ დოკუმენტებს, კონცეფციებს, ასევე გავეცანი სალეჩოებისა და დონორი ორგანიზაციის ვებ-გვერდებს. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა განვახორციელე ხელით ძებნის პრინციპით და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების (JSTOR და EBSCO) გამოყენებით. საძიებო ცნებებად გამოვიყენე: განვითარება, საერთაშორისო პოლიტიკა, დემოკრატიზაცია, განვითარების კვლევები, საერთაშორისო თანამშრომლობა, დემოკრატია, ტრანსფორმაცია, საერთაშორისო დახმარება, სამოქალაქო საზოგადოება, გლობალიზაცია. მეორადი მონაცემების ანალიზი გამოვიყენე განვითარების სხვადასხვა ინდექსის შესასწავლად. საკვლევი თემის სიღრმისეულად შესასწავლად ჩავატარე არასტრუქტურირებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები, მიზნობრივად შერჩეული დარგის სპეციალისტებთან, რელევანტურ აქტორებთან და ექსპერტებთან. თვისებრივი მონაცემების გასაანალიზებლად გამოვიყენე დისკურსის ანალიზის მეთოდი.

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორული ჩარჩო

ნაშრომი იკვლევს მიმღებ ქვეყანაში, დემოკრატიასა და საერთაშორისო დახმარების ძალისხმევას (პოლიტიკა, პროგრამები, ცალკეული დახმარების ინსტრუმენტები) შორის კორელაციას. საერთაშორისო განვითარებისათვის დახმარების მიზანს წარმოადგენს ქვეყნების დახმარება კეთილდღეობის მიღწევაში, სიღარიბის დაძლევაში და ასევე, მდგრადი სახელმწიფო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საზოგადოების მშენებლობაში, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანის უფლებების დაცვაზე.[3] თავის მხრივ, საერთაშორისო განვითარება ფართო კონცეფციაა, რომელიც სწავლობს განვითარების მასშტაბებს საერთაშორისო დონეზე.
ეკონომიკური და სოციალური წინაპირობები დემოკრატიის თანმდევი და განმაპირობებელია. დემოკრატიული პროცესები კი, ბიძგს აძლევს ქვეყნის განვითარებას. ის რასაც დახმარება განვითარებისთვის აკეთებს არის წინაპირობებისა და ხელისშემწყობი გარემოს შექმნა ქვეყნების ტრანსფორმაციისათვის. სწორედ, ამ წინაპირობებზე აკეთებდა აქცენტს ამერიკელი სოციოლოგი და

---

[2] Freedom in the World 2017 , Populists and Autocrats: The Dual Threat to Global Democracy https://freedomhouse.org/report/freedom-world/freedom-world-2017?gclid=Cj0KEQjwp83KBRC2kev0tZzExLkBEiQAYxYXOiJhhPbMK_2awSwqs3StlSswliozdT2wgWTunqgiFx8aAqR-8P8HAQ

[3] აშშ საერთაშორისო დახმარების სააგენტოს (USAID) განმარტება. წყარო:https://www.usaid.gov/who-we-are/mission-vision-values

პოლიტიოლოგი მარტინ ლიპსეტი სტატიაში: "დემოკრატიის ზოგიერთი სოციალური წინაპირობა: ეკონომიკური განვითარება და პოლიტიკური ლეგიტიმაცია" [4] (Lipset, 1965). ლიპსესის მიხედვით, ეკონომიკური ეფექტურობა და პოლიტიკური ლეგიტიმაცია ის ფაქტორებია, რომელიც დემოკრატიის წინაპირობას წარმოადგენს. ცივი ომის დასრულების შემდეგ როგორც ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა, ისე პოლიტიკური ელიტის ლეგიტიმაციის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში. საჭირო იყო ამ პროცესის ტრანსფორმაცია საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიზნით.

ნაშრომის ამ თავში განვიხილავთ მოდერნიზაციის თეორიის კრიტიკულ მიდგომებს. ამ მიზნით, გავეცნობით სფეროს წამყვანი ექსპერტების და მეცნიერების ნაშრომებს. კრიტიკულად გავიაზრებთ პრჟევორსკის, ბოიქსის (Boix 2003), აჩემოღლუს და რობისონის (2005), ინგლეჰარტისა და ველზელის (2005) მიდგომებს.

1959 წელს ლიპსეტი წერდა „ეკონომიკურად რაც უფრო ძლიერია ქვყანა, რაც უფრო მეტია კეთილდღეობა, მეტი შესაძლებლობაა დემოკრატიისათვის" (Lipset 1959, 75). ლიპსეტს ხშირად აკრიტიკებენ იმისთვის, რომ მისი მიერ შემოტანილი კორელაცია ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალსა და დემოკრატიას შორის მეტად მარტივია, თუმცა ეკონომიკური განვითარების შემადგენელი ფაქტორები, როგორცაა ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია, სიმდიდრე და განათლება, ქმნის ერთ დიდ ფაქტორს, რომელიც კავშირშია პოლიტიკურ დემოკრატიასთან (Lipset 1960, 41), ეს არის ფაქტორები, რომლებიც ქმნიან დემოკრატიის პირობებს და არა საფუძვლებს. 1958 წელს ლერნერმა (Lerner D. 1958) დაადგინა კავშირი ურბანიზაციას, განათლებასა და კომუნიკაციის საშუალებებს (მედია) შორის, მისი აზრით, ეს ფაქტორები მოქალაქეთა მონაწილეობასა და პოლიტიკური ჩართულობის საფუძვლებია, რაც თავის მხრივ, დემოკრატიას აძლიერებს.[5]

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ წარმოდგენილი ფაქტორები დამოუკიდებელი ცვლადების როლს ვერ ითამაშებს დემოკრატიზაციაში, რადგან თითქმის სამოცი წლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კავშირში არ არის დემოკრატიასთან. მორი გამოყოფს ხუთ ფაქტორს, რაც ასევე გავლენას ახდენს პოლიტიკური რეჟიმის თავისებურებასა და განვითარების პერსპეტივაზე: ელიტებში ძალაუფლების გადანაწილება, მდიდარი ფენის ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველები, კლასების კონსტალაცია, კლასებს შორის ძალაუფლების გადანაწილება, სახელმწიფოს ავტონომია დომინანტ კლასთან მიმართებით. აქ ლიპსეტისა და მორის მიდგომები თანმხვედრია, საშუალო ფენა ქმნის დემოკრატიას, „არ არის ბურჟუაზია, არ არის დემოკრატია" (Moore, 1966).

აპტერი (1965) წერს, რომ ზოგჯერ მოდერნიზაციის პროცესში, დემოკრატია დესტაბილიზაციის ფაქტორია, განსაკუთრებით, როდესაც ვსაუბრობთ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებზე. 1968 წელს სამუელ ჰანტინგტონი მიიჩნევდა, რომ როდესაც პოლიტიკურ წესრიგზე კეთდება აქცენტი, სოციალური და ეკონომიკური განვითარება განსხვავებულია პოლიტიკური განვითარებისაგან. წესრიგი სუსტდება, როდესაც საზოგადოების მობილიზაციის დონე აღემატება ინსტიტუციონალიზაციის დონეს. ეკონომიკური განვითარება ხელს უწყობს პოლიტიკურ მობილიზაციას. თუმცა 90-იანი წლების დასაწყისში ჰანტინგტონმა შეცვალა თავისი მოსაზრება, წიგნში „მესამე ტალღა" და დაასკვნა, რომ ეკონომიკური განვითარება და მოდერნიზაცია პირდაპირ არ ნიშნავს დემოკრატიას (Huntignton S., 1993).[6]

---

[4] Some social prerequisites of Democracy: economic development and political legitimacy, Seymour Martin Lipset The American Political Science Review, Vol 53, No 1 (Mar., 1959, 69-105).

[5] უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით ეს ფაქტორები განვითარების ინდიკატორებად იქცა და გახდა განვითარების საზომი. ხოლო საერთაშორისო დახმარების პროგრამები ამ ინდიკატორებით ხელმძღვანელობს. მედიის დამოუკიდებლობა, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და რეფორმების ხელშეწყობა, განათლების სისტემის რეფორმა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვება და ა.შ. საერთაშორისო დახმარების პროგრამების ინტეგრალურ ნაწილად იქცა.

[6] The Third Wave: Democratization in the Late 20th Century (The Julian J. Rothbaum Distinguished Lecture Series)Mar 15, 1993

დემოკრატიის მესამე ტალღა, რასაც ჰანტინგტონი პოსტ ცივი ომის მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს უწოდებს, მოთხოვნებს აყენებს არა ეკონომიკური უთანასწორობის ჭრილში, არამედ ადამიანების მისწრაფებას წინ აღუდგნენ ავტორიტარულ რეჟიმებს, მოიპოვონ და დაიცვან სამოქალაქო და ადამიანის უფლებები. ველზელი და ინგლჰარტი წერენ, რომ მოდერნიზაციის მთავარი ეფექტი არ არის ელიტების მიმღებლობა დემოკრატიის მიმართ, არამედ ხალხის შესაძლებლობა და ნება იბრძოლონ დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის" (Welzel and Inglehart 2008, 136).

ველზელი და ინგლჰარტი ყურადღებას ამახვილებენ უბრალო ადამიანების როლზე დემოკრატიზაციაში. აქ საუბარია, ერთი მხრივ, დემოკრატიული ღირებულებების გააზრებასა და მიღებაზე და შემდეგ ამ ღირებულებების გადატანაზე დემოკრატიული ინსტიტუციების მშენებლობისა და ფუნქციონირების პროცესში. აქ ირთვება სოციალური მექანიზმი, რომელიც მიკრო დონის ემანსიპატორულ ღირებულებებს გარდაქმნის მაკრო დონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ინგლჰარტი და ველზელი (2005, 25) აღნიშნავენ, რომ ინდუსტრიალიზაცია და პოსტ ინდუსტრაილიზაცია ეკონომიკური ფაზებია, რომლებიც სხვადასხვაგვარად მოქმედებს საზოგადოებაზე: ინდუსტრიალიზაციას ახლავს ბიუროკრატიის შექმნა, ცენტრალური მმართველობის განვითარება, რაციონალიზაცია, და სეკულარიზაცია. ხოლო პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანია აქცენტი ავტონომიაზე, არჩევანზე, კრეატიულობასა და თვითგამოხატვაზე. ასევე მნიშვნელოვანია ხალხის მიმართება და დამოკიდებულება ხელისუფლებასთან (Inglehart and Welzel 2005, 19-20).[7]

ეკონომიკური ფაქტორები, ღირებულებები, კულტურული თავისებურებები და დემოკრატიის მოთხოვნილება განვითარების ერთგვარ საფუძვლებსა და ორიეტირებს წარმოადგენს. საერთაშორისო დახმარების პროგრამების საერთაშორისო განვითარება ამ მიმართულებით ეხმარება ხელი ქვეყნებს.

სახელმწიფოს განვითარების მექანიზმები

სახელმწიფოს განვითარების მექანიზმების შესახებ რამდენიმე მიდგომა არსებობს. ჩარლზ ტილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს შენების ერთ-ერთი მექანიზმია ომის წარმოება შიდა და გარე მტრების, მოწინააღმდეგეების მოშორების მიზნით, ამ პროცესში ის აძლიერებს სამხედრო შესაძლებლობებს გარე უსაფრთხოების მისაღწევად და პოლიციას, შიდა უსაფრთხოების დამყარებისთვის (Tilly C. 1992).

მეორე მოსაზრება უკავშირდება სახელწიფოს განვითარებას გარე ინტერვენციების გზით. სტიუარტი და კნაუსი (Steward and Knaus 2012) სვამენ კითხვას "მუშაობს, თუ არა ინტერვენცია?" ამ კითხვაზე პასუხი ამგვარია: ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ქვეყნებს შექმნან სახელმწიფოები, დაასრულონ ომები და მივაწოდოთ შესაბამისი რესურსი. თუმცა აღნიშნული თეორია, ამგვარი პროექტების ჩავარდნის გამო, კრიტიკის ქვეშ მოექცა.[8]

საგარეო დახმარების საშუალებით სახელმწიფოს მშენებლობა სახელმწიფოს განვითარების კიდევ ერთი მექანიზმია, რომელსაც მრავალი კრიტიკოსი ჰყავს. პრიჩეტი, ვულკოკი და ანერიუსი (Pritchett, Woolcock and Andrews 2013) აანალიზებენ სახელმწიფოების განვითარების გზაზე არსებულ პრობლემებს, და აღნიშნავენ, რომ დახმარება განვითარებისთვის უშედეგოა. მოჰყავთ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მაგალითი, როდესაც მიუხედავად დახარჯული მილიარდებისა, ქვეყნები კონფლიქტებსა და კორუფციაში იყვნენ ჩაფლული. პრიჩეტი მიიჩნევს, რომ უმეტეს შემთხვევაში, განვითარებადი ქვეყნები იმეორებენ

---

by Samuel P. Huntington

[7] მიუხედავად იმისა, რომ ავტორები მხედველობაში იღებენ კულტურებს, მაშინაც კი, როდესაც სახეზეა ერთგვაროვანი პირობები, კულტურა მაინც ცდილობს შეინარჩუნებს თავისი ღირებულებითი პატერნი. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებები შეიძლება ერთი მიმართულებით იცვლებოდნენ, მათ შორის განსხვავება მაინც შენარჩუნებულია.
(Inglehart and Welzel 2005, 19-20).

[8] ინტერვენცია ერაყში და ავღანეთში.

განვითარებული ქვეყნების ინსტიტუციებს, რაც მიბაძვად რჩება და ინსტიტუტები შინაარსს ვერ ვერ იძენენ (Pritchett, Woolcock and Andrews 2013). ასევე პრობლემური საკითხია ელიტების შიდა დემოკრატიული განვითარებისა და ტრანსფორმაციის მიმართ რიგიდულობა, რაც გამოიხატება არაეფექტურ მართვაში. ამის შედეგად, საზოგადოების მოლოდინების იმედგაცრუება გარდაუვალია საერთაშორისო დახმარების ეფექტურობასთან დაკავშირებით. ეს უკანასკნელი კარგად გამოიყენება ზოგიერთი პოლიტიკური ძალების მხრიდან, მაგალითად რუსეთის მიერ ანტიდასავლური პროპაგანდის გასაძლიერებლად.

საერთაშორისო დახმარების ეფექტიანობის ძირითადი რეკომენდაციები ინსტიტუციური მნიშვნელობას უკავშირდება (World Bank Group Report: Governance and the Law, 2016). საერთაშორისო დახმარება ქმნის საშუალებას და გარემოს დემოკრატიული განვითარებისა და ფუნქციური ინსტიტუტების მშენებლობისათვის. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, საქართველოს მიერ მიღებული დახმარების თემატიკისა და მიღებული დახმარების რაოდენობის კორელაცია ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგებთან.

შემთხვევის ანალიზი _ საქართველოს მაგალითი

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით 2015 წლისათვის საქართველოს ოფიციალურ დახმარებას განვითარებისათვის (ODA) წარმოდგენდა 447,670,000 აშშ დოლარი. 2015 წელს ეს მოცულობა მთავრობის ხარჯების 12.5 % წარმოდგენდა. რაც ასევე ერთ სულ მოსახლეზე 120 აშშ დოლარს წარმოდგენს. 2014 წლის მონაცემებით ოფიციალური დახმარების მოცულობა 501,450,000 აშშ დოლარამდე გაიზარდა. ამ მოცულობაში შედის ყველა ის ფინანსური რესურსი, რასაც ქვეყანა იღებს სხვადასხვა დონორისაგან. ყველაზე დიდი დონორები არიან ევროკავშირი და აშშ.

საქართველომ 24 წლის განმავლობაში ამერიკისაგან საგარეო დახმარების სახით მიიღო 1.5 მილიარდი დოლარი.[9] 2005 წლიდან ამერიკის საერთაშორისო დახმარების სააგენტოს მიერ ეტაპობრივად იცვლებოდა და ფართოვდებოდა დაფინანსების კატეგორიები. 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ ქვეყნის წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანები იდგა. ამ ამოცანების პასუხი დონორის მხრიდან ფინანსური დახმარების მიზნობრიობაში კარგად ჩანს. 2005 წელს საგარეო დახმარება ორ მთავარ კატეგორიას ითვალისწინებდა: ეკონომიკური განვითარება და მულტისექტორული დახმარება. 2006 წლიდან გაფართოვდა დახმარების კატეგორიები: მშვიდობა და უსაფრთხოება (სრული დახმარების 41 % შეადგენდა), ეკონომიკური დახმარება (26 %), დემოკრატია და ადამიანის უფლებები (18 %), ჯანდაცვა (7.66 %), ჰუმანიტარული დახმარება (3.4 %), განათლება და სოციალური მომსახურება (1.9 %), რამაც სულ 85.59 მილიონი შეადგინა.[10]

2007 წელს სურათი ასეთია: მთლიანი დახმარება 74.69 მილიონს შეადგენს, კატეგორიებს ემატება პროექტების მენეჯმენტი.[11] 2008 წელს სრული დახმარება შეადგენს 378.85 მილიონ აშშ დოლარს. აქედან მნიშვნელოვანად შემცირდა მშვიდობისა და უსაფრთხოების კატეგორიის მოცულობა და მთელი აქცენტი გადავიდა ეკონომიკურ განვითარებაზე. შემოდის გარემოს დაცვის კატეგორია მცირე ოდენობით. 2009 წელს, ომის შემდეგ, სრული მოცულობა 311.82 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, ჰუმანიტარული დახმარების ოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდილია და შეადგენს სრული დახმარების 17 %-ს. ამავე დროს

[9] USAID საქართველო https://www.usaid.gov/georgia
[10] აშშ საგარეო დახმარების პორტალი http://foreignassistance.gov/explore/country/Georgia
[11] იგივე

საინტერესოა ის, რომ შეიმჩნევა დაფინანსების მიხედვით კატეგორიების თანაბრად გადანაწილება.
2010 წელს კვლავ მნიშვნელოვანი ხდება მშვიდობა და უსაფრთხოება, მცირდება ჰუმანიტარული დახმარების ხარჯები. დაფინანსების სამეულში შედის დემოკრატრია და ადამიანის უფლებები (17.95 %).
2011 წელს საგარეო დახმარება შეადგენდა 140.88 მილიონი აშშ დოლარი. დემოკრატია, ადამიანის უფლებები და მმართველობა კვლავ დაფინანსების სამეულში შედიოდა.
2012 წელს 149.25 მილიონი აშშ დოლარს წარმოადგენს აშშ საგარეო დახმარება. დემოკრატიის კატეგორიის მოცულობა 25 მილიონ აშშ დოლარს მოიცავდა.
2013 წელს სრული დახმარება 110.71 მილიონ აშშ დოლარს წარმოდგენს. აქედან დემოკრატიის მიმართულებით დახმარება კვლავ სამეულში იყო..
2014 წელს აშშ დახმარებამ შეადგინა 97.60 მილიონი აშშ დოლარი. აქედან დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და მმართველობის მიმართულებით კვლავ მაღალ დონეზე იყო შენარჩუნებული დახმარების რაოდენობა, თუმცა მნიშვნელოვანია მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართულება და ეკონომიკური განვითარება.
2015 წელს სრული დაფინანსება 75.47 მილიონ აშს დოლარს შეადგენდა. დემოკრატიის კატეგორია მეორე ადგილზე იყო და შეადგენდა სრული დაფინანსების 27 %-ს. გარემოს კატეგორია შემოდის 4 %-ით.
2016 წელს სრულმა დაფინანსებამ შეადგინა 55.68 მილიონი აშშ დოლარი. შემცირდა სრული დაფინანასება. დაფინანსების რეიტინგში, დემოკრატია მეორე ადგილზე იყო, თუმცა მთავარი აქცენტი გადადის მშვიდობისა და უსაფრთხოების პროგრამებზე.
2017 წელს, აშშ საგარეო დაფინანსება 90.33 მილიონი აშშ დოლარია, აქედან მთავარი აქცენტები მოდის ეკონომიკურ განვითარებაზე, დემოკრატიაზე, მშვიდობისა და უსაფრთხოების კატეგორიებზე.
საგარეო დახმარების არსებული დინამიკა ითვალისწინებს საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს.
პრაქტიკულად, ქვეყნის მოდერნიზაცია 2004-2012 წლებში მოხდა. ფაქტია, რომ რეალური ბიძგი საერთაშორისო დახმარების ინტენსიფიკაციაში იყო, რასაც არა მარტო საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო იღებდა განვითარებისთვის, ოფიციალური დახმარების[12] სახით, რომელიც თავის მხრივ, გლობალური განვითარების სტრატეგიების ნაწილი იყო. ათასწლეულის განვითარების მიზნები აისახა ყველა დონორი ორგანიზაციისა თუ ქვეყნის საგარეო დახმარების სტრატეგიაში. აკადემიური სფეროსა და ექსპექტების მთავარი რჩევა ინსტიტუციურ ცვლილებებში ინვესტირება იყო, სწორედ, ამ მიზნით მოხდა მნიშვნელოვანი მოდერნიზაცია.
საერთაშორისო დახმარების ერთი ასპექტია, დაფინანსების რაოდენობა და კატეგორიის მიხედვით გადანაწილება, თუმცა მეორე და მნიშვნელოვანი ასპექტია, როგორ აისახება კატეგორია კონკრეტულ სტრატეგიაში.
მაგალითად, რომ შევადაროთ ერთმანეთს საქართველოს, აზერბაიჯანისა და მოლდოვას შემთხვევაში[13] USAID სტრატეგიები, ნათელი გახდება აქცენტები, რაც განსაზღვრავს განვითარების ფოკუსს. თუმცა ეს სტრატეგიაც მიმღები ქვეყნის ინტერესებით არის განსაზღვრული და დონორი მას ათანხმებს მიმღები ქვეყნის მთავრობასთან.[14]

---

[12] ODA Official Development Assitance

[13] მოლდოვას, აზერბაიჯანისა და საქართველოს შედარება ეფუძნება საერთო გეოგრაფიული და ისტორიული გამოცდილების მსგავსებას.

[14] შევისწავლე შვედეთის შემთხვევა. შვედეთი განვითარების პროგრამებს ახორციელებს შვედეთსა და საქართველოს ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში. საგარეო საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაშია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო SIDA, თუმცა ამ ინსტრუმენტის გარდა შვედეთის გარემოს დაცვის სამინისტრო ახორციელებს რადიაციული და ბირთვული უსაფრხოების პროგრამებს საქართველოში, გადაწვეტილებას კვლავ იღეს საგარეო საქმეთა სამინისტრო ძირითადი

ფაქტია, რომ დონორის სტრატეგიული ინტერესები მნიშვნელოვანია. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს სტრატეგიაში, მიზნად გამოტანილია დემოკრატიის განვითარება[15]. აზერბაიჯანის სტრატეგიაში[16] აქცენტი კეთდება კონკურენციისა და პლურალიზმის, ასევე საბაზრო დემოკრატიის განვითარებაზე. მოლდოვას შემთხვევაში კი, სტრატეგიის მიზანია, გაუმჯობესებული მმართველობა და ცხოვრების სტანდარტები.[17]

შესაბამისად, ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. აღნიშნული სტრატეგიების მიმართულებები გამომდინარეობს, ერთი მხრივ, როგორ აღიქვამს საჭიროებებს დონორი, როგორ აღიქვამს საჭიროებებს მიმღები სახელმწიფო და რა ინტერესები აქვს თითოეულ მათგანს.

მიუხედავად, სტრატეგიაში პლურალიზმის ჩანაწერისა, აზერბაიჯანში ხდება სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელი აზრის ჩახშობა, ხოლო პროცედურების თვალსაზრისით, არამომგებიანი, არასამთავრობო ორგანიზაციის დარეგისტრირება 2011 წლიდან იმდენად გართულდა, რომ დონორების მუშაობა შეუძლებელი გახდა.[18] დონორების უმრავლესობამ დატოვა აზერბაიჯანი. დღეს დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოება და თავისუფალი მედია აღარ ფუნქციონირებს. ამ დროს აზერბაიჯანის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 6,115 აშშ დოლარია (2015 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემები), რაც აღემატება საქართველოსა და მოლდოვას მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე.[19]



მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე
წყარო: მსოფლიო ბანკი

მიმართულებებისა და დაფინანსების შესახებ. თუმცა როგორც ამ სააგენტოს ხელმძღვანელობა ამბობს, დღეს დახმარება და თანამშრომობა მთლიანად დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის მთავრობის გადაწვეტილებაზე. მათ უნდა უნდოდეთ ეს თანამშრომლობა. (ინტერვიუ შვედეთის რადიაციული სააგენტოს წარმომადგენელთან, 2017 წლის მარტი, სტოკჰოლმი).

[15] USAID Country Development Cooperation Strategy Fiscal Year 2013 – 2017. https://www.usaid.gov/sites/default/files/documents/1863/GeorgiaCDCS_2013-2017.pdf

[16] USAID/Azerbaijan Country Development Cooperation Strategy 2011-2016. http://pdf.usaid.gov/pdf_docs/PDACU274.pdf

[17] Country Development Cooperation Strategy 2013 – 2017.
https://www.usaid.gov/sites/default/files/documents/1863/moldova-CDCS-FY13-17.pdf

[18] ინტერვიუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთან, უსაფრთხოების ექსპერტთან აზერბაიჯანიდან, 2017 წლის თებერვალი

[19] 2015 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 4,010 აშშ დოლარია, ხოლო მოლდოვასი - 1,971 აშშ დოლარი.

აზერბაიჯანის მაღალი მშპ მიუხედავად, მისი არც ერთი ეკონომიკური პარამეტრი არ არის დამაკმაყოფილებელი: ეკონომიკური თავისუფლების დონე, საკუთრების უფლება, შრომითი უფლებები და თავისუფლებები დაბალი საერთაშორისო შეფასებით სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა მნიშვნელოვან რესურსებს ფლობს, მისი გადანაწილება ასიმეტრიულია. რაც პოლიტიკური არასტაბილურობის წინაპირობა შეიძლება გახდეს (Apter 1965).



დახმარების რაოდენობა აზერბიჯანი, მოლდოვა, საქართველო
წყარო: მსოფლიო ბანკი

აქ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ვეხებით, განვითარება პირდაპირ არ ნიშნავს დემოკრატიას. მიუხედავად იმისა, რომ 2008-2012 წლებში საქართველო, მაგალითად აშშ–ის მხრიდან მნიშვნელოვან დახმარებას იღებდა, ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე, საქართველოს დემოკრატიის რეიტინგები საკმაოდ დაბალი იყო, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თუმცა 2008 წლიდან სამოქალაქო საზოგადოებაში, ინვესტირებული დაფინანსებისა და გაძლიერების პროგრამების შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოება განვითარდა და გაძლიერდა, რამაც სააკაშვილის მმართველობის დესტაბილიზაციას შეუწყო ხელი.[20] ხოლო 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ძალაუფლება პირველად შეიცვალა მშვიდობიანად ერთი პოლიტიკური ძალიდან მეორეზე.

ცვლილებების ლოგიკა, რაც განვითარების პროგრამების სტრუქტურირების ინსტრუმენტია, რამდენიმე ტიპის ცვლილების მიღწევას გულისხმობს: ურთიერთობები, ქცევა, სტრუქტურები, ინსტიტუტები და ღირებულებები.

საერთაშორისო დახმარების პოლიტიკა სწორედ ამ ცვლილებების განხორციელებაზე არის ორიენტირებული, ისევე როგორც ქვეყნების მიზანია, გარდამავალ პერიოდში შეძლონ ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების მიღწევა.

დახმარების თემატური პროგრამების ევოლუცია

[20] ინტერვიუები ექსპერტებთან, 2017 წლის თებერვალი-მაისი

სიღარიბის დაძლევის პროგრამები მომდინარეობს ათასწლეულის განვითარების მიზნებიდან. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამები მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა იმ თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ამბობს, რომ მოქალაქეთა გაძლიერების გარეშე შეუძლებელია მთავრობების ანგარიშვალდებულების მიღწევა და შესაბამისად, ეფექტური ინსტიტუტების არსებობა. ამასთანავე, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების ამოცანა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ტოტალიტარიზმის გამოცდილების მქონე რეჟიმებში არსებული არადემოკრატიული ტრადიციის დაძლევისათვის.

გარემოს დაცვის საკითხები, 2000-იანი წლების ბოლოდან აქტუალიზდება დონორების დახმარების პროგრამებში. განსაკუთრებით, მას შემდეგ რაც ამ მიმართულებით გაეროს და მის ორგანიზაციებს სახელმწიფოების მხარდაჭერაც დაემატა და იგი პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი გახდა.

2000-იანი წლებიდან იწყება დისკუსიები მრავალფეროვანი საზოგადოების მართვის შესახებ,[21] რაც გულისხმობს ტოლერანტობის ღირებულების, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური უმცირესობების საკითხების აქტუალიზებას არა მარტო საზოგადოებრივ, არამედ პოლიტიკურ დღის წესრიგში. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ის, რომ 2005 წლიდან საქართველოში დაიწყო აშშ განვითარების სააგენტოს დიდი პროგრამა, რომელიც სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე აკეთებდა აქცენტს.[22]

მნიშვნელოვანია ქალთა უფლებების საკითხების აქტუალიზაცია როგორც ათასწლეულის განვითარების მიზნების ჩარჩოებში, ისე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325 ფარგლებში (რეზოლუცია: ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება).

ცხადია, რომ საერთაშორისო განვითარების პროგრამული მიმართულებები აისახება ეროვნულ პოლიტიკაში. თუმცა რამდენად ჩართულია ამ პროცესებში ადგილობრივი პოლიტიკური ელიტა და რამდენად იზიარებს ამ ღირებულებებს? რამდენად უმაგრებს ზურგს ეკონომიკური განვითარება დისკურსულ ცვლილებებს? ამ საკითხებზე მსჯელობისას ბუნებრივად ჩნდება ეს კითხვები. თეორიული ჩარჩოს მიხედვით, ეკონომიკური განვითარება ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას, მაგრამ მთავარი კომპონენტია პოლიტიკური ელიტისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ცვლილებების გათავისებაა

(ინტერნალიზაცია), რის შემდეგად იგი ამ ცვლილებების გამტარებელი ხდება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით საქართველო საერთაშორისო რეიტინგების საშუალო შეფასებებში ხვდება.

საგრძნობი მიღწევების მიუხედავად, საქართველო რჩება გარდამავალ ქვეყნად. „ფრიდომ ჰაუსის“ რეიტინგების მიხედვით, საქართველო მიეკუთვნება „ნახევრად თავისუფალი ქვეყნების“ კატეგორიას.[23] ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, საქართველო შედის დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნების ჯგუფში.[24] ამავდროულად, საქართველო იღებს დადებით შეფასებებს მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგში.[25] ქვეყანამ ასევე მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს კორუფციასთან ბრძოლასა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში. ბოლო წლებში საქართველოს კორუფციის აღქმის ინდექსი გაუმჯობესდა და ქვეყანამ 176 ქვეყანას შორის 44-ე ადგილი დაიკავა და 2015 წლის მონაცემები 8 ადგილით გააუმჯობესა.[26]

საქართველოს ადამიანის განვითარების ინდექსი 2015 წლისათვის იყო 0.769—ამ მაჩვენებლის მიხედვით

---

[21] ამ მიმართულების დღის წესრიგში ასახვას 90-იანი წლების კონფლიტქების გამოცდილება განაპირობებდა: ბალკანეთში, აფრიკაში, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში.

[22] სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით მთავრობა წერს სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიას. სახალხო დამცველის ოფისთან იქმნება ტოლერანტობის ცენტრი, მოგვიანებით რელიგიური და ეთნიკური საბჭოები, რომლებშიც გაერთიანებული არიან შესაბამისი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ლიდერები საქართველოში. (ინტერვიუები საბჭოს წევრებთან, სახალხო დამცველის ოფისის შესაბამისი ცენტრის წარმომადგენლებთან).

[23] Georgia, 2014 http://freedomhouse.org/report/freedom-world/2014/georgia-0#.VEj2avmUc6g.

[24] Georgia http://www.worldbank.org/en/country/georgia.

[25] Economy Rankings, 2013 http://www.doingbusiness.org/rankings.

[26] Transparency International, Corruption Perception Index http://www.transparency.org/cpi2013/results.

საქართველო ადამიანის მაღალი განვითარების მქონე ქვეყნების კატეგორიაში ხვდება, 188 ქვეყნიდან 70-ე ადგილი უჭირავს. 2000-2015 წლებში ადამიანის 14.3 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა.
1980-დან 2015 წლამდე საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ მოიმატა 5 წლით, ხოლო სკოლაში სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზარდა 0,2 წლით. საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 1995-2011 წლებში გაიზარდა დაახლოებით 192.0 %–ით
ამასთან, თუ ავიღებთ უთანასწორობის მიხედვით ადამიანის განვითარების კორექტირებულ ინდექსს, ის 15.3 პროცენტიან ვარდნას განიცდის, რაც ქვეყანაში უთანასწორობის შედარებით მაღალ დონეზე მიუთითებს.[27]
სოციალური პროგრესის იმპერატივის[28] შეფასების მიხედვით საქართველოს დადებითი მაჩვენებლები აქვს საბაზისო ადამიანური მოთხოვნილებების - კვებისა და საბაზისო ჯანდაცვის უზრუნველყოფის მიმართულებით, თუმცა პრობლემურია თავშესაფრის კომპონენტი (დევნილების საკითხები). კეთილდღეობის საფუძვლების ნაწილში მაღალი შეფასება აქვს საბაზისო განათლებაზე ხელმისაწვდომობას, ხოლო პრობლემურია გარემოს მდგომარეობის კომპონენტი. შესაძლებლობებისა და არჩევანის კომპონენტის მიხედვით, საქართველოს დადებითი შეფასება აქვს პირადი უფლებების მიმართულებით, თუმცა მდგომარეობა გასაუმჯობესებელია ტოლერანტობისა და ინკლუზიური მონაწილეობის თვალსაზრისით. [29]
გენდერული უთანასწორობის ინდექსი ასევე აჩვენებს საქართველოში მამაკაცებსა და ქალებს შორის უთანასწორობის პრობლემას. 2016 წლის მონაცემებით 90-ე ადგილს იკავებს 148 ქვეყანას შორის.[30]
გენდერული თანასწორობისა და სამართლიანობის მხრივ მნიშვნელოვანი ხარისხობრივი ცვლილებების მიღწევა ძნელდება. [31] მიუხედავად, განხორციელებული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებებს, ინსტიტუციური მექანიზმების შექმნასა [32] და დიდი მრავალწლიანი გენდერული პროგრამების განხორციელებას ითვალისწინებს,
სამოქალაქო გაძლიერება (civil empowerment) კულტურული ცვლილების თეორიის უმთავრესი კომპონენტია. ინგლჰარტისა და ველზელის თეორიის მიხედვით, საზოგადოებაში თვით-გამოხატვის ღირებულებების გაჩენა ხელს უწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას. თვითგამოხატვის ღირებულებები კი კავშირშია ფინანსური კაპიტალისა და ეკონომიკური რესურსების ზრდასთან (შემოსავალი და სიმდიდრე), ადამიანური კაპიტალისა და კოგნიტური რესურსების განვითარებასთან (ინფორმაციასა და ცოდნაზე ხელმისაწვდომობა) და სოციალური კაპიტალის შექმნასთან (ადამიანებს შორის კავშირებისა და ქსელების დივერსიფიცირება). ამ პროცესში მცირდება შეზღუდვები და ფართოვდება არჩევანი, სწორედ არჩევანის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მოთხოვნის ზრდის შედეგად, ძლიერდება დემოკრატიული ინსტიტუტები.
განვითარების თვალსაზრისით, ევროკავშირის დახმარება ძალიან მნიშვნელოვან პლატფორმას ქმნის დემოკრატიზაციისათვის. 2014-2017 წლებში ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI) ორმხრივი დახმარების ფარგლებში საქართველოსათვის გამოყოფილი დაფინანსება მერყეობს 335-410 მილიონ ევრომდე, რაც დამოკიდებულია გაჩენილ საჭიროებებზე. გარდა ამისა, საქართველო სხვა რესურსსაც

---

[27] 2013 Human Development Report http://hdr.undp.org/sites/default/files/Country-Profiles/GEO.pdf.
[28] Social progress imperative - საერთაშორის კვლევარებისა
[29] სოციალური პროგრესის იმპერატივი
http://www.socialprogressindex.com/
[30] გენდერული ნაპრალის ინდექსი 2016
[31] ინტერვიუ გენდერის ექსპერტთან ნ.ბერეკაშვილი 2017 წლის აპრილი
[32] საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო. კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (2010 წ), გენდერული თანასწორობის მეინსტრიმიზაციის პოლიტიკა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 და შესაბამისი ნაციონალური დონის სამოქმედო გეგმები.

იღებს ევროკავშირისაგან, რომელიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ქვეყნის მიერ დაფინანსებული „ქოლგა პროგრამებისაგან“. თემატურად ეს დაფინანსება ფარავს შემდეგ სფეროებს: სოფლის მეურნეობა, ტექნიკური დახმარება, რაც ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუტების ხელშეწყობას ითვალისწინებს, ასევე 2015 წლიდან ძალაშია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროგრამა (civil society facility), რომელზეც სულ 7 მილიონი ევროა გამოყოფილი.

დასკვნა

საერთაშორისო დახმარების გამოყენება შიდა ტრანსფორმაციის პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის.

დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას ხელს უწყობს ადგილობრივი მოქმედი სუბიექ ტების აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში. სამოქალაქო საზოგადოება კი, ამ გარემოში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავისი ფუნქციებით (watchdog, ანუ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დარაჯი, საზოგადოების სხვადასახვა ჯგ'/უფის ინტერესების დამცველი, მათი უნარებისა და შესაძლებლობის გაძლიერებაზე მზრუნველი, პოლიტიკურ დიალოგში ჩართული, პოლიტიკაზე მონიტორინგის განმახორციელებელი და ა.შ.). პოლიტიკური პლურალიზმი და პოლიტიკური ელიტების პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების საკითხი შიდა საზოგადოებისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პროცესების დემოკრატიულობის ხარისხს.

ველზერი და ინგლჰარტი დემოკრატიის მოთხოვნილებას მუდმივ მოქმედ ფაქტორად მიიჩნევენ საზოგადოებაში, ამას მოწმობს არაერთი კვლევა.[33] თუმცა იმავდროულად ტრადიციული და კულტურული ფაქტორები გარკვეულ როლს თამაშობს დემოკრატიული ღირებულებების გააზრებისა და დამკვიდრების პროცესში. ელიტებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური როლი და საზოგადოებასთან მუდმივი კომუნიკაცია განსაზღვრავს დემოკრატიული ღირებულებების მიღებას, გადატანას და გაზიარებას ნაციონალურ ღირებულებებში.

მაგალითად, გარემოს დაცვის საკითხები, გენდერული თანასწორობა, უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული რეფორმა[34] ის სფეროებია, რომელიც ე.წ. მეინსტრიმული დისკურსის გარეთ რჩება, თუმცა ამ მიმართულებით ბევრი საერთაშორისო ძალისხმევა იხარჯება.

ამავდროულად საზოგადოება უფრო მიმღებელი რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების მიმართ, აღელვებს გენდერული ძალადობის საკითხები, თვალი გაუსწორა რელიგიურ და ეთნიკურ მრავალფეროვნებას, თუმცა ყველა საერთაშორისო კვლევა მოწმობს, რომ ტოლერანტობის პრობლემა კვლავ რჩება საზოგადოებაში. ასევე არის საფრთხე, რომ პოლიტიკური გადაწვეტილების მიღების პროცესი ჩაკეტილია ერთპარტიულ ან უარეს შემთხვევაში, მცირე ჯგუფის ჩარჩოში. რაც რა საკვირველია, ვერ პასუხობს საერთაშორისო დემოკრატიულ სტანდარტს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ

---

[33] საქართველოში ჩატარებული სხვადასხვა ღირებულებების კვლელევის მიხედვით პირველ ხუთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს შორის ყოველთვის ხვდება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მნიშვნელობა (E. Chomakhidze and S. Lortkipanidze, "Peculiarities of the Georgian Society Value System, "Scientific Papers of Sokhumi University, 2013.). რაც შეეხება მსოფლიო ღირებულებების კვლევის შედეგებს, თვითგამოხატვის ღირებულებები მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოებებში. თუმცა იქ სადაც ეკონომიკური სიძნელეებია უფრო ძნელად ხდება ღირებულებების ტრანსფორმაცია, ვიდრე მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში. რაც, თავის მხრივ, იწვევს ერთგვარ ღირებულებით ნაპრალს. (world values survey http://www.worldvaluessurvey.org/WVSContents.jsp)

[34] უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული რეფორმა, როგორც კონცეფცია ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა აღმოსავლეთ ევროპაში გასული საუკუნის 90-იან წლებში და გულისხმობს, უსაფრთხოების სექტორში დემოკრატიული მმართველობის განვითარებას - ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობა, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას.
(შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატრიული კონტროლის ჟენევის ცენტრის განმარტება (www.dcaf.ch)

გადაწვეტილების მიღების ჩაკეტილი პროცესი ხელს უშლის პოლიტიკურ ლეგიტიმაციას, რაც ზემოთ დემოკრატრიის წინაპირობებში მიმოვიხილეთ, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დემოკრატიული განვითარებისათვის.

საქართველო ერთგვარ ჰიბრიდს წარმოდგენს, სადაც ვხვდებით როგორც მოდერნიზმის (აქცენტირებულია ეკონომიკური განვითარება, ტექნოლოგიური განვითარება, სოციალური უფლებები) ასევე პოსტმოდერნიზმის (ძირითადი ხაზია ინდივიდუალური თავისუფლება და თვითგამოხატვა, ალტერნატიული ხედვები და ა.შ.) დამახასიათებელ ნიშნებს. გარკვეული თვალსაზრისით, საქართველოს შემთხვევაში მოხდა სახელმწიფოს მშენებლობის ზემოთ ჩამოთვილი მექანიზმების გამოყენება (ომი და საერთაშორისო დახმარება), დღეს დღის წესრიგშია ადგილობრივი საზოგადოების მიერ გაზიარებული განვითარების პროცესის გაძლიერება და ამ პროცესში საქართველოსთვის სასიცოცხლო საერთაშორისო მხარდაჭერის შენარჩუნება (Kersting, Erasmus; Kilby, Christopher 2014). გასათვალისწინებელია გარე ფაქტორები, როგორც საფრთხე, განსაკუთრებით, რუსეთის როლი რეგიონში, რომელიც ეფექტურად სარგებლობს საქართველოს სისუსტეებით.

საქართველო ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს დემოკრატიის საერთაშორისო სტანდარტებს.[35] ამავე დროს განსხვავებული ჩარჩო საჭიროა იმისათვის, რომ გავიაზროთ განვითარების პროცესი. ეკონომიკური ფაქტორებისა და დემოკრატიას შორის პირდაპირი კავშირი არ არის. თუმცა ამ მიმართებაში დემოკრატია ქმნის სამართლიანობისა და თანასწორობის მექამიზნებს, რომელსაც ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა ემყარება. საბჭოთა პერიოდში საქართველოში მოდერნიზაციის პროცესი შეეხო ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სრულიად განსხვავებული პროცესი დაიწყო, არსებული სოციალური და ეკონომიკური სისტემის რღვევას მოჰყვა ახალ პრინციპებსა და სისტემაზე გადასვლის რთული ეტაპი. მას თან ახლდა ტრადიციული და რელიგიური ღირებულებების ერთგვარი აღორძინება. ჩვენი ამოსავალი ამ შეთხვევაში, კულტურული ცვლილებების თეორიაა, რომელიც ამბობს, რომ განვითარების პროცესში ღირებულებების ცვლილებები ხდება, რაც გულისხმობს დემოკრატიული პრინციპების რაციონალიზაციასა და სამოქალაქო კულტურის ჩამოყალიბებას. ამ პროცესში კი, ეკონომიკური ბიძგი უმნიშვნელოვანესია.

რა ვითარება გვაქვს დღეს? დასავლური მხარდაჭერის შედეგად საზოგადოება პროაქტიულია, სამოქალაქო საზოგადოებას შესწევს უნარი გააპროტესტოს არადემოკრატიული გადაწყვეტილებები და გარკვეულ დღის წესრიგს სთავაზობს ხელისუფლებას, თუმცა გადაწვეტლების მიღებაზე გავლენა სუსტია. სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია მობილიზება, ამავე დროს სამოქალაქო სექტორის საზოგადოების ფართო ფენებთან კავშირი არის არის საკმარისად მყარი, იმისათვის, რომ ტრანსფორმაციული პროცესების მიმართ მეტი მხარდაჭერა იყოს საზოგადოებაში.

დღეს მმართველობისა და კანონის უზენაესობის საკითხები ექცევა განვითარების საერთაშორისო დღის წესრიგში (world Bank, Governance and the Law, 2016). გლობალურ კონტექსში სამი უმთავრესი მიმართულებას გამოყოფენ: უსაფრთხოება, ეკონომიკური ზრდა და სამართლიანობაზე დაფუძნებული თანასწორობა (equity). მათზე რეაგირება და შესაბამისი ეფექტური სტრატეგიების შემუშავება დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების, პასუხისმგებელი პოლიტიკური ელიტებისა და ჩართული და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლიცი ჩართულობის გარეშე შეუძლებელ მისიას წარმოადგენს. პოლიტიკური დღის წესრიგი გადაწონის ეკონომიკურ მიზნებს, რადგან დღეს გლობალურ პროცესებში ჩართულობა და ინტეგრირება წარმოადგენს მათ შორის, ეკონომიკური ზრდის გასაღებს. ხოლო

---

[35] "ფრიდომ ჰაუსის" მიხედვით საარჩევნო პროცესი, პოლიტიკური პლურალიზმი და მონაწილეობა, ფუნქციური მთავრობა, გამოხატვისა და რწმენის თავისუფლება, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლება, კანონის უზენაესობა, პირადი ავტონომია და ინდივიდუალური უფლებები თასუფალი დემოკრატიული მმართველობის კრიტერიუმებია.

საერთაშორისო დახმარება ჯერჯერობით უალტერნატივო ინსტრუმენტია გლობალური განვითარების პროცესში, რომელიც ლოკალურ დონეზე სახელმწიფოთა ტრანსფორმაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ბიბლიოგრაფია:

Acharaya, A., (2014), Global International Relations (IR) and Regional Worlds. International Studies Quaterly, 1-13.

Agathangelou A. Ling L.H.M., (2010). Transformation of World Politics, from Empire to multiple worlds, Routledge

Amartia S., (1999), Freedom as Development, Oxfor University Press

Anthony Giddens, MARX, WEBER, AND THE DEVELOPMENT OF CAPITALISM Sociology Vol. 4, No. 3 (September 1970), pp. 289-310Published by: Sage Publications, Ltd. Stable URL: http://www.jstor.org/stable/42854126 Page Count: 22

Corbridge , S. (ed)(1995), Development Studies a Reader. London: Arnold

Tilly C. (1992), Coercion, Capital and European States, A.D. 990 - 1992 Revised Edition.

European policy brief, http://ec.europa.eu/research/science-society/document_library/pdf_06/optimising_civil_society_participation.pdf

Finney, J. (1970). Time and again. New York, NY: Simon and Schuster.

Fukuyama F. (1999). The Great Disruption, Human Nature and Reconstruction of Social Order

Hardt M., Negri A. (2001). Empire. Harvard University Press

Lerner D. (1958)Passing of Traditional Society of Traditional Society: Modernizing the Middle East

Nodia G. Ed (2016). 25 Years of Independence, Georgia, Achievments and Unfonished projects

http://www.csdialogue.eu/sites/default/files/mapping_study_of_engagement_in_policy_in_georgia.pdf

ნოდია გ. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგი

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00—off-0civil2-civil2-01-1–0-10-0–0-0—0prompt-10–.%2e-4—4—0-1l–11-en-00—10-help-50–00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL1.24.1&d=HASHda6e02eb0243e989187a90.4

Inglehart, R, Welsel C. (2005), Modernization, Culture Change. (New York: Cambridge University Press

Inglis D., Thorpe Ch., (2012), An Invitaion to Social Theory, Polity Press

Karns M., Mingst K. A., (2010). International Organizations, The politics of Global Governance, second edition

Nef J., (1999). Human Security and Mutual Vulnerability: The Global Political Economy of Development and Underdevelopment, (IDRC)

Nicholas Spina, Christopher Raymond, Civil Society Aid to Post-communist Countries, POLITICAL STUDIES: 2014 VOL 62, 878–894

Orysia Lutsevych, How to finish a revolution: civil society and democracy in Georgia, Moldova and Ukraine, briefing paper, Chatham house, January 2013

Rist Gilbert, (2014). The History of Develoment, fourth edition, zed books

Selected essays from Development in Practice Introduced by Jenny Pearce A Development in Practice Reader Series Editor: Deborah Eade; ihttp://www.developmentinpractice.ordg/sites/developmentinpractice.org/files/Development,NGOs%20and%20Civil%20Society.pdf

Siegel, D., & Yancey, J. (1992). The Rebirth of Civil Society. New York: Rockefeller Brothers Fund

The South Caucasus 2018, Facts, Trends, Future Scenarios (2013), Konrad Adenauer Stiftung Publication.

Sumner A., Michael T., (2011). International Development Studies, Theories and Methods in Research and Practice, sage publications

Thomas A. (2004) The Study of Development. Paper prepared for DSA Annual Conference,

Thomas, A. (2000) "Development as practice in a libera;l capitalist world " Journal of International Development , 12 (6):773-787

Thomas, C. (2000) Global Governance, development and Human Security, (London: Pluto)

Evans ., Rueschemeyer D., and Skocpol T. (1985) War Making and State Making as Organized Crime Charles Tilly in Bringing the State Back In (Cambridge: Cambridge University Press)

Almond G., Verba S., (1963) The Civic Culture: Political Attitudes and Democracy in Five Nations URL: http://www.jstor.org/stable/j.ctt183pnr2

სტატიები:

https://www.theguardian.com/global-development/2015/aug/05/aid-should-be-seen-as-foreign-public-investment-not-just-charity

E. Chomakhidze and S. Lortkipanidze, "Peculiarities of the Georgian Society Value System, "Scientific Papers of Sokhumi University, 2013.

January 2006

6. Global Social Service Workforce Alliance (2016). Review of Legislation and Policies that Support the Social Service Workforce in Low- and Middle- Income Countries
7. Global Social Service Workforce Alliance (2016). The State of the Social Service Workforce 2015 Report. A Multi-country Review. Washington, DC: IntraHealth International.
8. Greenberg, A. and Partskhaladze, N. (2014). How the Republic of Georgia has nearly Eliminated the Use of Institutional Care for Children. Infant Mental Health Journal. Vol. 35, Issue 2, pg 185-191
9. Hollis, C. (2008). Evidence-based assessment of social work practice in Georgia. UNICEF.

10. International Federation of Social Workers (2014). Retrieved from http://ifsw.org/get-involved/global-definition-of-social-work/ on 6 April 2016.
11. Partskhaladze, N. (2016). Quality of Life of Deinstitutionalized Children as an Outcome Measure of the Child Care System Reform in Georgia. Journal of Young Researchers, Iv. Javakhishvili Tbilisi State University. Retrieved from http://jyr.tsu.ge/index.php/Hoome/ebaut/eng/ on 5 April 2016.
12. Rutgers University Center for International Social Work (2008). Social Work Education and the Practice Environment in Europe and Eurasia. USAID Social Transition Team, Office of Democracy, Governance and Social Transition
13. Shatberashvili, N. (2011). Social Work Situation Analysis. Georgian Association of Social Workers
14. Shatberashvili, N. (2016). The Poverty Reduction Program in Georgia: A Social Work Perspective. Doctoral dissertation
15. UNICEF (2011). End Placing Children under three Years in Institutions. A Call for Action. UNICEF CEE/CIS RO
16. UNICEF (2015). Compendium of promising practices to ensure that children under the age of three grow up in a safe and supportive family environment. UNICEF Regional Office for Central and Eastern Europe and the Commonwealth of Independent States, Geneva
17. UNICEF (2015). Evaluation of Results Achieved through Child Care System Reform 2005-2012 in Georgia. Pluriconsult Evaluation Report
18. United Nations (2010). Guidelines for the Alternative Care of Children. Retrieved from https://www.unicef.org/protection/alternative_care_Guidelines-English.pdf on 7 December 2016
19. United Nations (2010). Guidelines for the Alternative Care of Children. Retrieved from https://www.unicef.org/protection/alternative_care_Guidelines-English.pdf on 7 December 2016
20. United Nations Convention on the Rights of the Child (1989). Retrieved from https://www.unicef.org/crc/ on 9 January 2017
21. United Nations Convention on the Rights of the Child (1989). Retrieved from https://www.unicef.org/crc/ on 9 January 2017
22. USAID (2008). Social work education and the Practice environment in Europe and Eurasia. Rutgers University Centre for International Social Work

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №5, ივლისი 2017

Journal of Young Researchers, No. 5, July, 2017

ტრენინგის როლი პიონერულ ფაზაში მყოფი ორგანიზაციის განვითარებაში

თათია ქართლელიშვილი *

დოქტორანტი, ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს არის თუ არა კავშირში პიონერულ ფაზაში მყოფ ორგანიზაციაში დასაქმებულთა გადამზადება სრულიად ორგანიზაციის განვითარებასთან. კერძოდ, ნაშრომი ცდილობს დაადგინოს თუ რამდენად და როგორ ხდება ორგანიზაციის განვითარება, ვითარდება მხოლოდ გარკვეული ელემენტები, თუ შვიდივე ელემენტი? კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ტრიგონის ასპექტების ბადე, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაციის შვიდივე ელემენტი ჩაშლილია ასპექტებად. ყველა ელემენტს აქვს სხვადასხვა რაოდენობის ასპექტი, ორგანიზაციის სპეციფიკის გათვალისწინებით. ტრენინგი მიმართული იყო სხვადასხვა ელემენტის 5 ასპექტზე, ამის მიუხედავად, კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ მან გავლენა იქონია ორგანიზაციის სხვა ელემენტებსა და ასპექტებზეც, ანუ ტრენინგი დადებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციის განვითარება, ტრენინგი, პიონერული ფაზა, ტრიგონის ასპექტების ბადე.

Abstract

The present study explores if there is a connection between the training of employees of pioneer phase organizations and organizational development. In particular, work tries to determine how organization develops, does develop only certain elements or all seven ones?
The instrument of the research is net of aspects of "Trigon", through which the elements are disrupted as aspects. Every element has a different number of aspects, regardless specific of the organization. The training was directed to five aspects of various elements. However, the results show, that the training had influence on the other elements and aspects. So, we can say, that the training has a positive effect on the development of the organization.

Key words: organizational development, training, pioneering phase, net of aspects of "Trigon".

* *ელფოსტა:* tatia.kartlelishvili@tsu.ge

შესავალი

ჩვენს ქვეყანაში დღითი დღე იზრდება იმ ორგანიზაციათა რიცხვი, რომელთაც ზრდისა და განვითარების გზაზე უამრავი პრობლემა ექმნებათ, თუმცა მათ ამ პრობლემებთან გამკლავების გამოცდილება არ აქვთ დაგროვებული. ყველასათვის ცნობილია, რომ ორგანიზაცია ადამიანთა ჯგუფების ერთობლიობაა, ანუ იგი თავისი არსით სოციალურია. მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში ტრენინგზე საკმაოდ სოლიდური თანხები იხარჯება, მაგალითად პირად საუბრებში იუსტიციის სამინისტროს ტრენინგ ცენტრის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ თანამშრომელთა გადამზადება მათთვის პრიორიტეტულია და ამიტომ ორგანიზაცია ამაში დიდ ფინანსებს დებს. თუმცა შეფასებული არ არის რამდენად ახდენს თანამშრომელთა გადამზადება გავლენას სრულიად ორგანიზაციის, ან/და მისი რომელიმე განყოფილების განვითარებაზე.

ორგანიზაციის განვითარების ერთ-ერთი განხრაა ადამიანური რესურსების განვითარება, რომელიც ორგანიზაციებში კადრების კვალიფიკაციის შეფასებას, ტრეინინგების საჭიროების დადგენას, ტრეინინგების ჩატარებასა და მიღწეული შედეგების შეფასებას გულისხმობს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უკვე რამდენიმე ათეული წელია, გამოჩნდნენ ორგანიზაციის კონსულტანტები, რომლებიც არსებულ ორგანიზაციებს უწევენ დახმარებას შექმნილ პრობლემებთან გამკლავებაში (მაგ: ავსტრიული საკონსულტაციო ფირმა „ტრიგონი“ ერთ-ერთი წამყვანი ცენტრია ევროპაში და იგი კონსულტაციას უწევს ისეთ დიდ კომანიებს, როგორებიცაა “Apple”, “BMW” და სხვა.) და ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლებაში. ჩვენს რეალობაში კი ეს საქმიანობა ეს-ესაა ვითარდება, თუმცა შეიძლება ამ პროცესს სტიქიურიც კი ვუწოდოთ, რადგან არ ემყარება ტრენინგის საჭიროების კვლევას, არადა ადამიანების გადამზადებაზე უამრავი დრო და თანხა იხარჯება.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია განსაზღვროს ახდენს თუ არა გავლენას პიონერულ ფაზაში მყოფი ორგანიზაციის განვითარებაზე ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანების გადამზადება. კვლევის საწყის ეტაპზე ჩამოყალიბდა შემდეგი ჰიპოთეზა: პერსონალის გადამზადება, მას შემდეგ რაც დადგინდება ამის საჭიროება, გამოიწვევს ორგანიზაციის რომელიმე მახასიათებლის განვითარებას. სტატია ეფუძნება ემპირიულ კვლევას, რომელიც ჩავატარე 2010–2011 წლებში. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებში სამეცნიერო კვლევების ჩატარების გამოცდილება დაბალია და ორგანიზაციების მენეჯერები სკეპტიკურად უყურებენ მათ დაწესებულებებში მკვლევართა მუშაობას, კვლევა მხოლოდ ერთ მცირე ზომის ორგანიზაციაში განვახორციელეთ, რაც თავისთავად კვლევის შეზღუდულობას იწვევს და მიგნებების გენერალიზაციის საშუალებას არ გვაძლევს.

კვლევის ობიექტი იყო პიონერულ ფაზაში მყოფი ტრიკოტაჟის სამკერვალო სალონი „natali&moni,“ სადაც 12 ადამიანი იყო დასაქმებული. კვლევის მეთოდი იყო გავლენის კვლევა გამოკითხვის მეთოდით, რომელიც ჩატარდა ორ ეტაპად და რომლის ინსტრუმენტად გამოვიყენე ტრიგონის ასპექტების ბადე. კვლევის პირველ ეტაპზე მოვახდინე ტრიგონის ასპექტების ბადის ადაპტაცია ორგანიზაციის სპეციფიკასთან, რის შედეგადაც გამოიყო ორგანიზაციის სტრუქტურაში შემავალი შვიდი ელემენტის ასპექტები, რომლებიც შეაფასეს თანამშრომლებმა. პირველი ეტაპზე ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა ტრენინგის საჭიროება. შემდეგომ ჩატარდა ტრენინგი და კვლევის მეორე ეტაპზე იმავე მეთოდით მოხდა ორგანიზაციის თანამშროლმების გამოკითხვა. შევადარეთ პირველი და მეორე ეტაპზე ჩატარებული კვლევის შედეგები, რის შედეგადაც დადასტურდა ჰიპოთეზა.

ორგანიზაცია და მისი ელემენტები

სოციალურ მეცნიერებებში ორგანიზაციის ყველასთვის მისაღები განსაზღვრება ძნელად მოსაძებნია. ამ სირთულის გამო ზოგი მხოლოდ ორგანიზაციის ზოგადი მიმოხილვით შემოიფარგლება ხოლმე. ამ საკითხთან დაკავშირებით განვიხილოთ რამოდენიმე ავტორის პოზიცია.

ჯ. ბიუქენენმა და ვ. ჰაჩინსკიმ 1985 წელს ორგანიზაცია შემდეგნაირად განსაზღვრეს: „სოციალურ გაერთიანებებს, რომლებიც საერთო მიზნების შესრულებას აკონტროლებენ, ორგანიზაცია ეწოდება.“ მათი აზრით, ყველა ორგანიზაციას შემდეგი საერთო ნიშნები გააჩნია:

1. ყველა ორგანიზაცია იზიდავს ადამიანებს, რომლებიც მათთვის განკუთვნილ როლს ასრულებენ და ამავე დროს ჯგუფის სხვა წევრებთან ურთიერთობენ, რათა დაეხმარონ ორგანიზაციას დასახული მიზნების მიღწევაში.
2. ორგანიზაციის წევრებს აქვთ საერთო მიზნები.
3. ორგანიზაციის თანამშრომლები ინაწილებენ პასუხისმგებლობას, როლებს და სამუშაოს.
4. ყველა ორგანიზაციაში არსებობს ხელისუფლების განსაზღვრული იერარქია, ანუ ორგანიზაციის ყველა თანამშრომელმა იცის თავისი ადგილი ამ ორგანიზაციაში.

ლ. პორტერი და სხვა ავტორები ორგანიზაციის ძირითად მახასიათებლად მიიჩნევენ შემდეგ ფაქტორებს:

1. ორგანიზაცია შედგება ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფებისაგან.
2. ამ ინდივიდებსა და ჯგუფებს აქვთ კონკრეტული მიზნები, რომელთა მიღწევასაც ცდილობენ ისინი. ამ მიზნების მისაღწევად ისინი იყენებენ გარკვეულ ხერხებსა თუ საშუალებებს. მიზნების მისაღწევად კი საჭიროა ორგანიზაცია ფუნქციონირებდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

პორტერის და სხვა ავტორების მიერ გამოყოფილი მახასიათებლებზე დაყრდნობით ჩემს კვლევაში ვხელმძღვანელობ ორგანიზაციის შემდეგი განსაზღვრებით. ორგანიზაცია არის საერთო მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ, შეგნებულად კოორდინირებულ და დროში შედარებით ხანგრძლივად მოქმედ ადამიანთა გაერთიანება.

ბერნარდ ლივეხუდის განვითარების კონცეფციის (Friedrich Glasl, 2001) შემოსვლის შემდგომ მკვლევარები ორგანიზაციებს განიხილავენ, როგორც სოციალური სისტემას, რომელიც გარეგანი და შინაგანი სამყაროს ფაქტორების რთული ურთიერთქმედებაა. ამ ცვლილების შედეგად მკვლევარები ორგანიზაციის, როგორც რაციონალური კონსტრუქციას აღარ განიხილავენ.

ლივეხუდის განვითარების კონცეფცია არა მხოლოდ თეორიისთვის იყო მნიშვნელოვანი, არამედ მოხდა მისი პრაქტიკაში გამოყენებაც.

ორგანიზაცია განიხილება, როგორც შვიდი მნიშვნელოვანი ელემენტის ერთობლიობა. ესენია(Friedrich Glasl, 2001):

1. იდენტობა (მისია, მიზნები, ამოცანები).
2. პოლიტიკა, სტრატეგია, პროგრამები.
3. სტრუქტურა.
4. ხალხი, ჯგუფები, კლიმატი.
5. ორგანოები, გამოყოფილი ფუნქციები.
6. პროცესები, საქმიანობის საერთო სვლა.
7. ფიზიკური საშუალებები.

თუმცა ეს ელემენტები თავისთავად გარკვეულ ქვესისტემაში ერთიანდებიან. მაგალითად: 1 და 2 ელემენტები მიეკუთვნებიან კულტურულ ქვესისტემას. 3, 4 და 5 - სოციალურ ქვესისტემას, ხოლო 6 და 7 - ინსტრუმენტულ ქვესისტემას. (Friedrich Glasl, 2001)

ორაგნიზაციის და მისი ელემენტების განსაზღვრის შემდეგ განვიხილოთ ტერმინი **ორგანიზაციის განვითარება**. ზოგადად სიტყვა განვითარება პოზიტივის მაჩვენებელია, თუმცაღა ორგანიზაციის

განვითარებაში იგულისხმება თუ რამდენად უწყობენ ხელს ცვლილებები არსებული სტრუქტურის შენარჩუნებას. ხელიშეწყობის დადგენისშემთხვევაში საქმე ზრდასთან გვაქვს, შემდგომში ზრდა გადადის განვითარებაში, განვითარება ხდება უკვე მაშინ, როდესაც ზრდა შეუძლებელია და ამ ორგანიზაციამ ან უნდა შეწყვიტოს არსებობა, ან უნდა განვითარდეს.

განვითარება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- განვითარება პრინციპულად არ არის უწყვეტი პროცესი;
- განვითარება ხდება ერთ კონკრეტულ ფაზაში;
- განვითარებისას ორგანიზაციის შიგნით არსებული ქვესისტემები იცვლება ;
- განვითარება არადაბრუნებადია.

ორგანიზაციის განვითარების პიონერული ფაზა

ორგანიზაციის განვითარების 3 ფაზა (პიონერული, დიფერენციაციის და ინტეგრაციის) შექმნა ლივეხუდმა, ხოლო მოგვიანებით, ფრიდრიხ გლაზლმა დაამატა მეოთხე ასოციაციის ფაზა. პიონერულ ფაზაში ყველაფერს ადამიანი აკეთებს და მას პიონერ მეწარმე აკონტროლებს, თანამშრომლების მიღება კი ნაცნობობით ხდება. დიფერენციაციის ფაზაში ორგანიზაციაში უხვად შემოდის ტექნიკა, პირველ ადგილზე ინაცვლებს მანქანა დანადგარი. ინტეგრაციის ფაზაში კი ყურადღების ცენტრში ისევ ადამიანი ექცევა, რომელზეც ორგანიზაცია ზრუნავს. მეოთხე ასოციაციის ფაზაში მყოფი ორგანიზაციები ზრუნავენ არა მხოლოდ თანამშრომლებზე, არამედ გარემოზეც.

კვლევა მხოლოდ პიონერულ ფაზაში მყოფ ორგანიზაციაში ჩავატარე, ამიტომ განვიხილავ პიონერული ფაზის რაობას და ორგანიზაციის შვიდი ელემენტს მასთან მიმართებით.

ორგანიზაციის განვითარების საწყისი ფაზა არის **პიონერული ფაზა**. ამ ფაზაში ყველაფერს პიონერ-მეწარმე აკონტროლებს. იგი საზოგადოების მოთხოვნის მიხედვით ახორციელებს თავის ქმედებას. უკანა პლანზეა გადასული ტექნიკური უზრუნველყოფა. პიონერ-მეწარმე საქმის წამოსაწყებად უკავშირდება მსგავსი აზროვნების ადამიანებს და მუშაობას იწყებს ცოტა ხელქვეითებითა და უფრო ცოტა კაპიტალით.

პიონერ-მეწარმე ავტოკრატიული მართველია, მისი ავტორიტეტი გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი ყველას იცნობს ირგვლივ, იცის ორგანიზაციის ყველანაირი საქმიანობა და ყველა დეტალი, მან მიაღწია წარმატებას, რაც მას პრესტიჟს მატებს. პიონერ-მეწარმე უშუალოდ უკავშირდება ხელქვეითებს და აძლევს მითითებებს. პიონერი ლაპარაკობს ხელქვეითისათვის ნაცნობ ენაზე, რადგან ის კარგად ერკვევა ყველაფერში, რაც მის ორგანიზაციას ეხება, ასევე ხშირ შემთხვევაში იმავე ფენის წარმომადგენელია, რომელსაც მიეკუთვნებიან მისი ხელქვეითები.

კარიერის დასაწყისში პიონერი გაურბის დავალებებს, რომლებიც მას პიროვნულად არ მოსწონს, მას ბაძავენ დანარჩენი თანამშრომლებიც, რის გამოც ხდება შრომითი დანაწილების აღრევა. შრომითი მოტივაცია ამ ფაზაში ძალზე მაღალია, ამას პიონერ-მეწარმე აქტიურად უჭერს მხარს. ორგანიზაციაში ფუნქციები ნათლად არაა დანაწილებული, რის გამოც შესაძლებელია, ორგანიზაციას პრობლემები შეექმნას.

პიონერ-მეწარმეს სამსახურში აჰყავს ისეთი ადამიანები, ვინც მოსწონს და ვისაც ენდობა. იგი ეკონომიურად ექცევა სამუშაო ძალებს. აქ ყველაფერი შეგუებაზეა, თუ თანამშრომელი საწარმოს ვერ შეეგუება, სხვა სამსახურის ძებნა უწევს. პიონერული ორგანიზაცია მუშაობს იმ ბაზარზე, რომელსაც პიონერ-მეწარმე კარგად იცნობს და კლიენტებთან ინარჩუნებს ურთიერთობას. იწარმოება ის, რაც

უკვე გაყიდულია, ხოლო ძველი კლიენტებისათვის ხშირად ასრულებენ სხვა სამუშაოებსაც. პიონერ-მეწარმე ვერ იტანს მის გარდა სხვა მმართველს. თუ სხვას ნიშნავს მმართველად, ეს მხოლოდ ფორმალობაა და მეტი არაფერი. პიონერული ორგანიზაცია მანამდეა მყარი, სანამ პიონერ-მეწარმე იცნობს ყველა თანამშრომელს პირდად. მოგება პიონერისათვის პირადი შენაძენიცაა და წარმატების მაჩვენებელიც. პიონერული საწარმო შესაძლებლობების მაქსიმუმს აღწევს მაშინ, როდესაც ცვლილებების დროს მომხმარებლებს ძველ მოთხოვნებს დაუკმაყოფილებს. თუ კონკურენტები წაართმევენ კლიენტურას თუ ბაზარი გაიზარდა და პირადი კონტაქტები ვეღარ მყარდება, ასეთ შემთხვევაში პიონერული ფაზა დასასრულს უახლოვდება. ეს იმაში ვლინდება, რომ პიონერის პრესტიჟი იწყებს რღვევას. პიონერი ფინანსური მხარდაჭერისათვის მიმართავს ხელისუფლებას. იკლებს მოგება, ჩნდება კონფლიქტები, იზრდება პრეტენზიები, ირღვევა კომუნიკაციები, ეცემა მოტივაცია. ამ დროს პიონერი არასანდოა და მისი საქმე საფრთხეშია. ამ ფაზაში არ ხდება გრძელვადიანი გეგმების და სახვა. მომხმარებლის სურვილები სრულდება იმპულსურად. განახლება ხორციელდება ზემოდან და განახლებასთან ერთად შრომის განაწილებაც იცვლება. კონტროლი ხდება მომხმარებელთან უშუალო კონტაქტით და წლის ბოლოს თანხების შეჯამებით. ორგანიზაციის თანამშრომლები მომხმარებლებს არასამუშაო დროსაც ეხმარებიან. თუ საწარმო დამოკიდებულია დიდ მომხმარებელზე, მაშინ სავსებით შესაძლებელია, გაკოტრების საფრთხე დაემუქროს.

საწარმოს გასაფართოებლად ხშირად გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

კონგლომერატის ფორმა: საწარმო წვრილ-წვრილ წარმოებებად იყოფა და იმართება პიონერული სტილით. ყველა ეს წარმოება ანგარიშვალდებულია პიონერის წინაშე სათავო ოფისში. ეს ფორმა უფრო დიდი სივრცეების დაპყრობის საშუალებას იძლევა.

ოჯახური წარმოება: წარმოება ოჯახურია, თუ წარმოების ხელმძღვანელობა ერთ თაობაზე მეტის განმავლობაში ერთი ოჯახის ხელშია; თუ მფლობელის ოჯახის წევრები შედიან საწარმოს მრჩეველთა გუნდში; თუ ოჯახი აფინანსებს წარმოებას და ა.შ. ოჯახის წევრები წარმატებით მაშინ მართავენ საწარმოს, თუ ისინი წარმატებული არიან გარე სამყაროში. თუ ოჯახი აღიარებს, რომ საწარმოს არ ჰყავს მმართველი, მაშინ საწარმოს ინტერესები პირველ პლანზეა.

განვიხილოთ ორგანიზაციის შვიდივე ელემენტი პიონერულ ფაზასთან მიმართებით:

იდენტობა - პიონერული ფაზის დასაწყისში ორგანიზაციის იდენტობაში აირეკლება პიონერის პიროვნული იდენტობა, პიონერული ორგანიზაციის ურთიერთობა კლიენტებთან და სრულიად ითვალისწინებს მათ სურვილებს, მოთხოვნებს. პიონერის პიროვნული თავისებურებების და არაფორმალური ურთიერთობების წყალობით სოციალურ ქვესისტემაში ეს გაერთიანება ნარჩუნდება, როგორც უცვლელი ერთობა.

პოლიტიკა, ხელმძღვანელის მითითებები, პროგრამები - პიონერულ საწარმოში პიონერის პირადი ცხოვრების პრინციპები გენერალიზდება, როგორც მისაბაძი მაგალითი სხვებისათვის. პიონერულ ფაზაში საკითხი ეხება ოჯახურ ან სულიერ კულტურას.

სტრუქტურა - პიონერული ფაზიდან მის ოდნავ შესამჩნევ სტრუქტურაში ხდება ძლიერი გადახრა შემდგომი ფაზისაკენ.

ადამიანები - ქარიზმულ - ავტოკრატიული ხელმძღვანელობა, პირდაპირი, არაფორმალური, პირადი კონტაქტები და სითბო. ამ ფაზაში ადამიანთა ურთიერთობას განსაზღვრავს ინტუიცია, იმპროვიზაცია და პირადი დამოკიდებულება.

ცალკეული ფუნქციები - პიონერულ ფაზაში ცალკეული ფუნქციები ამოცანების სახით კონცენტრირდება ცალკეულ პირებზე. ცალკეული პირები იღებენ ამოცანებს და ენიჭებათ შესაბამისი კომპეტენციები, პასუხისმგებლობები და როლები მათი უნარების შესაბამისად.

პროცესები - პიონერულ ფაზაში ხდება სპონტანური, იმპროვიზებული მოქმედებები კლიენტების პირდაპირი და უბრალო მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

ფიზიკური საშუალებები - პიონერული ფაზა - შენობა, დანადგარები, ხელსაწყოები და ა.შ.

განიხილებიან დამოკიდებულ საშუალებებად. ამ ფაზაში ტექნო-ინსტრუმენტული ქვესისტემა განიხილება მეტ-ნაკლებად „აუცილებელ ბოროტებად.“

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ორგანიზაციის განვითარების პიონერულ ფაზაზე და იმ ელემენტებზე, რომლებისგანაც შედგება ორგანიზაცია. ადამიანები ორგანიზაციის ელემენტია, რომელთა კვალიფიკაციაზე ორგანიზაციის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. შესაძლოა დასაქმებულები იყვნენ ძალზე კვალიფიციურნიც, მაგრამ დროის ცვლასთან ერთად საჭირო ხდება თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლება, რასაც ჩვენ ტრენინგს ვუწოდებთ. ტრენინგსა თუ გადამზადებას აქვს ერთი მიზანი, მიაღწიოს კადრების ინფორმირებას, მათი კვალიფიკაციისა თუ ცოდნის გაზრდას. ყველაზე ეფექტური ტრენინგის პრაქტიკის მქონე კომპანიებს რამდენიმე თავისებურება ახასიათებთ:

- ტრენინგის საჭიროების ანალიზი დგინდება უმაღლეს მენეჯმენტთან ერთად. იგი კორპორაციული კულტურის ნაწილია.
- ტრენინგი უკავშირდება საწარმოს განვითარების მიზნებსა და სტრატეგიებს.
- ტრენინგი და რეტრენინგი უნდა ხორციელდებოდეს ორგანიზაციის ყველა დონეზე.

ტრენინგი მოიცავს სამ ძირითად ფაზას: დაგეგმვის ფაზა, განხორციელების ფაზა და შეფასების ფაზა. დაგეგმვის ფაზაში მოიაზრება საჭირო ცვლილებების განსაზღვრა, განხორციელების ფაზა გულისხმობს ცვლილების სტრატეგიების შეფასებას, ცვლილებების სტრატეგიების შერჩევასა და მათ განხორციელებას, ხოლო შეფასების ფაზა - განხორციელებული ცვლილებების შედეგების შემოწმებას. ამ ეტაპზე განისაზღვრება ტრენინგის საჭიროება. მიიღება გადაწყვეტილება ტრენინგის გაგრძელების, შეცვლის ან შეჩერების თაობაზე. ტრენინგის საჭიროების განსაზღვრის შემდგომ უნდა მოხდეს ტრენინგის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა. მიზნების განსაზღვრის შემდგომ ხდება სწავლების პრინციპებისა და გარემოს შერჩევა. ტრეინინგი ცვლილებების გატარების ყველაზე გავრცელებული ფორმაა, თუმცა ჩვენ გვაქვს მეორე ალტერნატივაც, შეგვიძლია გარკვეული ჯგუფების გადამზადების ნაცვლად გარდავქმნათ ორგანიზაციის ფართო სეგმენტი ან მთელი სისტემა. თუმცა მეორე ალტერნატივის განხორციელება რთულ და ხანგრძლივ პროცესებთანაა დაკავშირებული, მაშინ როდესაც ტრენინგი არის გარკვეული ჯგუფების ან ინდივიდების გადამზადება, მათი ქცევების ცვლილების სისტემური პროცესი, რომელიც საბოლოო ჯამში ემსახურება ორგანიზაციის განვითარებას.

კვლევის შედეგები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავებული ჰიპოთეზის შემოწმებისათვის შევარჩიე სამკერვალო სალონი. საწყის ეტაპზე გავეცანი ორგანიზაციის სპეციფიკას და სპეციფიკის გათვალისწინებით გამოვყავი ორგანიზაციის შვიდი ელემენტში შემავალი ასპექტები (შვიდი ელემენტის შესაბამისი ასპექტების ჩამონათვალი იხილეთ დანართში). შერჩეულ ორგანიზაციაში ჩავატარე საბაზისო კვლევა (baseline survey), რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათმა თანამშრომელმა. კვლევის შეზღუდვა არის ის, რომ რესპონდენტების რაოდენობა მცირეა; თუმცა იქედან გამომდინარე, რომ განვითარების პიონერულ ფაზაში მყოფი ორგანიზაციები დასაქმებულთა მცირე რაოდენობით ხასიათდებიან, კვლევის მასშტაბი შეესაბამება საკვლევ საკითხს. კვლევის პროცესში რესპონდენტებმა რიგის სკალაზე შეაფასეს ტრიგონის ასპექტების ბადის თითოეული ელემენტი ხუთი ნიშნით: ასპექტის შესახებ ინფორმირებულობა, ორგანიზაციაში მისი არსებობა, მისი მდგომარეობის სუბიექტური

შეფასება, მისი მნიშვნელობა და შეცვლის საჭიროება. მონაცემები დამუშავდა SPSS-ის პროგრამით და გამოვლინდა თითოეული ასპექტის შეფასების საშუალო არითმეტიკული.

ორგანიზაციის შვიდი ასპექტის შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობა

გამოკითხვაში მონაწილე დასაქმებულები პირველ რიგში აფასებდნენ ორგანიზაციის შვიდი ელემენტის შესახებ ინფორმირებულობას, ხოლო შემდეგ ორგანიზაციას ახასიათებდა/ქონდა თუ არა ესა თუ ის ასპექტი. იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტს წარმოდგენა არ ქონდა კონკრეტული ასპექტის შინაარსის შესახებ, ინტერვიუერი მას უხსნიდა ასპექტის არსს.

პირველი ელემეტია იდენტობა, რომელიც განისაზღვრება 10 ასპექტით – ცნობადობა საზოგადოებაში, იმიჯი "ბაზარზე", მკვეთრად გამოხატული ამოცანები, მყარი პოზიცია "ბაზარზე", კონკურენტების სწორი აღქმა, ნათელი მისია, ორგანიზაციის შინაგანაწესი, სიახლეებისადმი ღიაობა, ორგანიზაციის შიგნით არსებული კულტურა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა 80%–ი მისი დამსაქმებელი ორგანიზაციის იდენტობის შესახებ არაინფორმირებული იყო. ათი ასპექტიდან რესპონდენტები ძირითადად არაინფორმირებულნი იყვნენ ორგანიზაციული კულტურის არსებობის შესახებ. ხოლო 20% ამბობდა, რომ ორგანიზაციას იდენტობა არ გააჩნია, რაც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ზოგადად არ არსებობს ორგანიზაციული კულტურა ან მას არც დასაქმებულების და არც დამსაქმებლების მხრიდან ყურადღება არ ექცევა.

მეორე ელემენტი პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამები ხასიათდება შემდეგი 14 ასპექტით: ფაკულტეტის ზოგადი პოლიტიკა; სახელფასო პოლიტიკა; მარკეტინგული პოლიტიკა; საკადრო პოლიტიკა; „გრძელვადიანი" გეგმების არსებობა; „მოკლევადიანი" გეგმების არსებობა; საქმიანობის ეფექტურობა; კლიენტებთან ურთიერთობა; სტრატეგიები; საფასო პოლიტიკა; კონკურენტული პოლიტიკა და სტრატეგია; საბაზრო პოლიტიკა და სტრატეგია; ორგანიზაციის შიდა სტრატეგიული თანამშრომლობა; ორგანიზაციის გარე სტრატეგიული თანამშრომლობა;

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა 80% არაინფორმირებული იყო ორგანიზაციის პოლიტიკის შესახებ. 14 ასპექტს შორის რესპონდენტებს ძირითადად წარმოდგენა არ ჰქონდათ ორგანიზაციის მარკეტინგული პოლიტიკის, გრძელვადიანი მიზნების და გარე სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ. ორგაზნიაციის პოლიტიკაზე ინფორმირებულთა შორის 30%-ი თვლის, რომ ორგანიზაციას პოლიტიკა არ გააჩნია, რაც შესაძლოა იმაზე მეტყველებდეს, რომ ორგანიზაციას არ აქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკა ან/და ორგანიზაციის შიგნით არსებული პოლიტიკა თანამშრომლებამდე არ არის მიტანილი.

მესამე ელემენტი სტრუქტურა მოიცავს 17 ასპექტს: იერარქიული განაწილება; დამოკიდებულება ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულს შორის; დამოკიდებულება თანამშრომლებს შორის; სამუშაოს დანაწილების სტრუქტურა; ცენტრალიზებული სტრუქტურა; დეცენტრალიზებული სტრუქტურა; ორგანიზაციის შიდა თანამშრომლობა; ორგანიზაციის გარე თანამშრომლობა; სტრუქტურის მასშტაბები; ჰორიზონტალური იერარქია; ვერტიკალური იერარქია; ნათელი ვერტიკალური კომუნიკაცია; ნათელი ჰორიზონტალური კომუნიკაცია; საჭირო ინფორმაციის სწრაფი მიწოდება; ინფორმაციის ღიაობა; ორგანიზაციის შინაგანაწესი; პასუხისმგებლობის მკაფიო გამოხატულება; გამოკითხულ თანამშრომელთაგან არცერთს არ აქვს წარმოდგენა ორგანიზაციის იერარქიის შესახებ, ანუ ის არის ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური. ეს რაც ალბათ მიანიშნებს იმაზე, რომ ორგანიზაციას არ გაჩნია მყარი სტრუქტურა ან/და თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენა რა არის იერარქიული განაწილება ორგანიზაციაში.

ცალკეული ფუნქციები ხასიათდება შემდეგი 11 ასპექტით: ნათლად განაწილებული ფუნქციები თანამშრომლებს შორის; მკვეთრად გამოყოფილი განყოფილებები; დროებითი კომისიის არსებობა;

მოკლევადიანი პროექტების არსებობა; გრძელვადიანი პროექტების არსებობა; კომპეტენციის შესაბამისი დავალებების არსებობა; პროექტის კოორდინატორების არსებობა; დამსჯელი კომისიების არსებობა; დამსჯელი ღონისძიებების გატარება; გადაწყვეტილების მიმღები კომისიის არსებობა; წამახალისებელი ღონისძიებების არსებობა;

თანამშრომელთა ნახევარი ამბობს, რომ არ იცის ორგანიზაციას გააჩნია თუ არა ცალკეული ფუნქციები, კერძოდ, არსებობს თუ არა გრძელვადიანი პროექტები. რაც შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ თანამშრომლები ორიენტირებულნი არიან კონკრეტული ყოველდღიური ამოცანების შესრულებაზე ანდაც ორგანიზაციას არ გააჩნია გრძელვადიანი პროექტები და იგი მხოლოდ მოკლევადიანი პროექტებით ფუნქციონირებს.

პროცესები, ცალკეული ფუნქციების მსგავსად 11 ასპექტით ხასიათდება: მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობა; მკვეთრად გამოხატული ძირითადი პროცესები; ნათელი დამხმარე პროცესები; ხელშემწყობი პროცესების არსებობა; გადაწყვეტილების მიმღები კომისიის არსებობა; ერთპიროვნული მმართველობის პროცესი; სამუშაო პროცესის კონტროლი; შრომითი კმაყოფილება; სამუშაო პროცესის გეგმის არსებობა; ხელის შემშლელი პროცესების არსებობა. დასაქმებულთა 30%-მა არ იცოდა ორგანიზაციაში არსებობს თუ არა ხელისშემშლელი პროცესები. შესაძლოა ისინი მხოლოდ თავისი პრობლემებთ ან საქმით არიან დაკავებულნი და არ აქცევენ ყურადღებას იმას, თუ რა უშლის ხელს ორგანიზაციის ფუნქციონირებას.

სამაგიეროდ ყველა თანამშრომელმა იცოდა პერსონალთან და ფიზიკურ საშუალებებთან დაკავშირებული ყველა ასპექტის შესახებ, რადგან მათ ინტერესის სფეროს, ძირითადად, თანამშრომლები და მათი სამუშაო პირობები წარმოადგენს. ყველა თანამშრომელი ერთხმად ამბობდა, რომ ორგანიზაციაში არ არსებობენ შემდეგი ასპექტები:

- ხელმძღვანელობის დიქტატორული სტილი;
- ხელმძღვანელობის ჩაურევლობის სტილი;
- ერთპიროვნული ძლაუფლება;
- თანაბრად გადანაწილებული ძალაუფლება;
- ფორმალრი ურთიერთობები;
- დასჯა;
- წახალისება;
- სასადილო.

ორგანიზაციის შვიდი ასპექტის რესპონდენტთა სუბიექტური შეფასება

ორგანიზაციის იდენტობა არც თუ ისე მნიშვნელოვნ საკითხად მიიჩნია დასაქმებულთა 80%-მა. მათ შორის ვინც იდენტობას მნიშვნელობა მიანიჭა გამოიყო შემდეგი ასპექტები: ცნობადობა საზოგადოებაში, იმიჯი ბაზარზე, მყარი პოზიცია ბაზარზე, ორგანიზაციის შინაგანაწესი. ამ ელემენტის დაბალმნიშვნელოვანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ დასაქმებულებს არ აქვთ ინფორმაცია იდენტობის შესახებ.

პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამები მნიშვნელოვნად მიიჩნია დასაქმებულთა 48%-მა. გამოკითხულებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს სახელფასო პოლიტიკას, საკადრო პოლიტიკას, მოკლევადიანი გეგმების არსებობას, საქმიანობის ეფექტურობას, კლიენტებთან

ურთიერთობას, საფასო პოლიტიკას და საბაზრო პოლიტიკას. მიღებულ შედეგზე გავლენა იქონია დამსაქმებელი ორგანიზაციის სპეციფიკამ.

დასაქმებულთა 47% მიიჩნევს ორგანიზაციის სტრუქტურას აფასებს ძალზე მნიშვნელოვნად და აქცენტს აკეთებს შემდეგ ასპექტებს: დამოკიდებულება ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულებს შორის, დამოკიდებულება თანამშრომლებს შორის, ნათელი ვერტიკალური კომუნიკაცია, ნათელი ჰორიზონტალური კომუნიკაცია, საჭირო ინფორმაციის სწრაფი მიწოდება და ინფორმაციის ღიაობა. ეს ყოველივე შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ ფაქტორით, რომ დასაქმებულთათვის ძალზედ მნიშვნელოვანია არაფორმალური ურთიერთობები.

ხალხი ძალზედ მნიშვნელოვნად მიაჩნია 39%-ს, ხოლო მნიშვნელოვნად 27%-ს. წარმოდგენილ ელემენტში აქცენტი გაკეთდა შემდეგ ასპექტებზე – თანამშრომელთა შესაძლებლობები, თანამშრომელთა გამოცდილება, თანამშრომელთა ურთიერთობები, ურთიერთობა ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შორის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გაწეული შრომის შესაფერისი ანაზღაურება, შრომითი კმაყოფილება, შრომითი მოტივაცია, არაფორმალური ურთიერთობები. ამ ყოველივეს მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ თანამშრომლები სამსახურს მიიჩნევენ მეორე სახლად და მათთვის პრიორიტეტულია დადებით ურთიერთობები თანამშომლებთან, რომელთაც მეგობრებად მიიჩნევენ.

ცალკეული ფუნქციები მნიშვნელოვნად მიაჩნია თანამშრომელთა 67%-ს. სხვადასხვა ასპექტებს შორის უფრო მნიშვნელოანია მოკლევადიანი პროექტების არსებობა და კომპეტენციის შესაბამისი დავალებების არსებობა, რაც არ არის გასაკვირი თუ გავითვალისწინებთ, რომ საუბარია სამკერვალო სალონზე.

დასაქმებულთა 58% მნიშვნელოვნად თვლის პროცესებს, განსაკუთრებულად კი შემდეგ ასპექტებს: მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობა, მკვეთრად გამოხატული ძირითადი პროცესები, ნათელი დამხმარე პროცესები, ხელშემწყობი პროცესების არსებობა, სამუშაო პროცესების კონტროლი, შრომითი კმაყოფილება, სამუშაო პროცესის არსებობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანამშრომლები მნიშვნელოვნად თვლიან იმ ასპექტებს, რომლებიც უშუალოდ მათ უკავშირდებათ.

ფიზიკურ საშუალებას დადებითად 39%, ხოლო 61% უარყოფითად მიიჩნევს. ეს გამოწვეული იმით, რომ მათ ხელთ არსებული ფიზიკური საშუალებები მოძველებულია და შეცვლას საჭიროებს.

ორგანიზაციის შვიდი ასპექტის მნიშვნელობა და შეცვლის საჭიროება

ორგანიზაციის შვიდი ასპექტის შესახებ ინფორმირებულობის, სუბიექტური შეფასების შემდეგ რესპონდენტებს ეს ასპექტები უნდა შეეფასებინათ მათი მნიშვნელოვანების და შეცვლის საჭიროების მიხედვით (იხ. გრაფიკი #1). რესპონდენტების უმრავლესობა ყველაზე დიდ მნიშვნელობას ფიზიკურ საშუალებებს ანიჭებს, რაც ლოგიკურია, რადგან მათი პროდუქტულობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ფიზიკურ საშუალებებზე. მნიშვნელობით მეორე ასპექტია ორგანიზაციის პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამები, რომელსაც დასაქმებულთა 88%–ი მნიშვნელოვნად მიიჩნევს. გამოკითხულები ყველაზე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ორგანიზაციულ პროცესებს და მის ცალკეულ ფუნქციებს.

კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ ძირითადად ორგანიზაციის ასპექტის მნიშვნელოვანების რანჟირება მათი შეცვლის საჭიროების რანჟირებას ემთხვევა.



გრაფიკი #1: ორგანიზაციის შვიდი ასპექტის მნიშვნელოვანება და შეცვლის საჭიროება (N=1

ცალკეული ფუნქციები მნიშვნელოვნად მიაჩნია 49%-ს, ხოლო შესაცვლელად – 33%-ს. ყველაზე მნიშვნელოვნად ჩათვალეს შემდეგი ასპექტები: ნათლად განაწილებული ფუნქციები თანამშრომლებს შორის, მოკლევადიანი პროექტების არსებობა, კომპეტენციის შესაბამისი დავალებების არსებობა, ხოლო შეცვლას ყველაზე მეტად საჭიროებს ნათლად განაწილებული ფუნქციები თანამშრომლებს შორის. როგორც ჩანს ამ უკანასკნელი ასპექტის მნიშვნელობა და შეცვლის საჭიროება გამოწვეულია თანამშრომლებს შორის არასწორად ან ბუნდოვნად განაწილებული ფუნქციებით, რაც ხშირად ხდება დაბნეულობისა თუ გაურკვევლობის მიზეზი.

პროცესები მნიშვნელოვანია თანამშრომელთა 63%-სთვის, ხოლო შეცვლის საჭიროება მნიშვნელოვნად ჩათვალა 26%-მა. ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტები: მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობა, მკვეთრად გამოხატული ძირითადი პროცესები, ნათელი დამხმარე პროცესები, ხელშემწყობი პროცესების არსებობა, სამუშაო პროცესების კონტროლი, შრომითი კმაყოფილება და სამუშაო პროცესების არსებობა, ხოლო შესაცვლელთაგან ყველაზე მეტად ცვლილებას საჭიროებენ შემდეგი ასპექტები: მკვეთრად გამოხატული ძირითადი პროცესები, ნათელი დამხმარე პროცესები, ხელშემწყობი პროცესების არსებობა. ეს ალბათ იმით არის განპირობებული, რომ აღნიშნულ სამკერვალო სალონში არ ჰქონდათ გამიჯნული სხვადასხვა ტიპის პროცესები, რაც შრომითი კმაყოფილების დაქვეითების ერთ-ერთი ფაქტორი იყო.

ხალხი მნიშვნელოვნად მიაჩნია თანამშრომელთა 73%-ს, ხოლო ამ ელემენტში გარკვეულ ასპექტებს შესაცვლელად თვლის თანამშრომელთა 37%. მათ დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს შემდეგ ასპექტებს: ცოდნის მხრივ კომპეტენტური თანამშრომლები, თანამშრომელთა შესაძლებლობები, თანამშრომელთა გამოცდილება, თანამშრომელთა ურთიერთობები, ურთიერთობა ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა შორის, ნათლად გამოხატული როლები, ნათელი ვერტიკალური კომუნიკაცია, ნათელი ჰორიზონტალური კომუნიკაცია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადანაწილებული პასუხისმგებლობა, გაწეული შრომის შესაფერისი ანაზღაურება, შრომითი კმაყოფილება, შრომითი მოტივაცია, არაფორმალური ურთიერთობები და ორგანიზაციის შინაგანაწესი. ისინი ითხოვდნენ მხოლოდ კომპეტენტურ თანამშრომლებს, ნათლად გამოხატულ როლებს, თანაბრად გადანაწილებულ პასუხისმგებლობებს და ორგანიზაციის შინაგანაწესის არსებობას. სავარაუდოდ ამას საფუძვლად უდევს სწორედ ის, რომ 73%-ისთვის ხალხი მნიშვნელოვანი ელემენტია და ისინი კმაყოფილები არიან

ამ ელემენტში შემავალ ასპექტთა უმეტესობით, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანია.

სტრუქტურა მნიშვნელოვანია თანამშრომელთა 78%-ისთვის, ხოლო მას შესაცვლელად თვლის თანამშრომელთა 40%. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: დამოკიდებულება თანამშრომლებს შორის, სამუშაოს დანაწილების სტრუქტურა, დამოკიდებულება ხელმძღვანელსა და თანამშრომლებს შორის, ორგანიზაციის მასშტაბები, საჭირო ინფორმაციის სწრაფი მიწოდება, ინფორმაციის ღიაობა, პასუხისმგებლობის მკვეთრი გამოხატულება. ამ ასპექტებიდან თანამშრომლებმა შესაცვლელად ჩათვალეს სამუშაოს დანაწილების სტრუქტურა, ორგანიზაციის მასშტაბები და პასუხისმგებლობის მკაფიო გამოხატულება. ამის სავარაუდო მიზეზია ზოგიერთი თანამშრომლის უპასუხისმგებლო საქციელი, რის გამოც სხვა თანამშრომლები ან ისჯებოდნენ ან უფრო მეტი სამუშაოს შესრულება უწევდათ, რაც არასამართლიან დანაწილებად მიიჩნიეს. ასევე სურთ გაიზარდოს ორგანიზაციის მასშტაბები, რათა გაიზარდოს ორგანიზაციის მოგება, რაც თავისთავად გამოიწვევს დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდას.

იდენტობა 78%-ისთვის მნიშვნელოვანია, ხოლო მასში ცვლილებების საჭიროება დაინახა თანამშრომელთა 61%-მა. იდენტობაში ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებად გამოკვეთეს: ცნობადობა საზოგადოებაში; იმიჯი ბაზარზე; მკვეთრად გამოხატული ამოცანები; მყარი პოზიცია ბაზარზე; კონკურენტების სწორი აღქმა; ნათელი მისია; ორგანიზაციის შინაგანაწესი და სიახლეებისადმი ღიაობა. ამათგან შეცვლას საჭიროებს: ცნობადობა საზოგადოებაში; იმიჯი ბაზარზე; მყარი პოზიცია ბაზარზე; ორგანიზაციის შინაგანაწესი და სიახლეებისადმი ღიაობა. ეს შესაძლოა იმით აიხსნას, რომ რაც უფრო ცნობილი იქნება სამკერვალო სალონი ბაზარზე და რაც უფრო მყარი პოზიცია ექნება მას, მით უფრო მეტია მაღალი ანაზღაურების შანსი, ხოლო შინაგანაწესის არსებობა და სიახლეებისადმი ღიაობა თანამშრომლებს გაუმარტივებს მუშაობის პროცესს.

პოლიტიკა, სტრაატეგია და პროგრამები ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზეა მნიშვნელოვნების მიხედვით. თანამშრომელთა 88% მნიშვნელოვნად, ხოლო 50% შესაცვლელად მიიჩნევს მის გარკვეულ ასპექტებს. მნიშვნელოვნების მიხედვით ასპექტები ასე დალაგდა: სახელფასო პოლიტიკა; საკადრო პოლიტიკა; მოკლევადიანი გეგმების არსებობა; საქმიანობის ეფექტურობა; კლიენტებთან ურთიერთობა; საფასო პოლიტიკა; კონკურენტული პოლიტიკა და სტრატეგია; საბაზრო პოლიტიკა და სტრატეგია; მარკეტინგული პოლიტიკა; ორგანიზაციის ზოგადი პოლიტიკა; გაე სტრეატეგიული თანამშრომლობა და გრძელვადიანი გეგმების არსებობა, ხოლო შეცვლის საჭიროება ასე გამოიყურება: მარკეტინგული პოლიტიკა; საბაზრო პოლიტიკა და სტრატეგია; კონკურენტული პოლიტიკა და სტრატეგია; გარე სტრატეგიული თანამშრომლობა; საფასო პოლიტიკა; საქმიანობის ეფექტურობა და ა.შ. როგორც ჩანს მარკეტინგული და საბაზრო პოლიტიკის არსებობა იმიტომ ლიდეირობს, რომ თანამშრომელთა აზრით ეს ყოველივე გამოიწვევს მყარ პოზიციას ბაზარზე, რაც გაზრდის მოთხოვნას, გაზრდილი მოთხოვნა თავისთავად გაზრდის წარმოებას, რაც აისახება თანამშრომელთა შრომით პირობებსა და ანაზღაურებაზე.

თანამშრომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მნიშვნელოვნად მიიჩნია ფიზიკური საშუალებებში შემავალი შვიდივე ასპექტი, ხოლო 78%-მა განაცხადა, რომ ამ ასპექტებიდან ცვლილებას საჭიროებს შემდეგი: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა; სასადილოს არსებობა; თანამედროვე ავეჯი; თანამედროვე ტექნიკის არსებობა და გათბობა-კონდიცირება. ეს არის ის ელემენტარული, რაც გაზრდიდა თანამშრომელთა ნაყოფიერებას და შრომისუნარიანობას, რაც თავისთავად აისახებოდა ორგანიზაციის განვითარებაზე.

შემდეგ გაიშიფრა თითოეული ელემენტი ასპექტების მიხედვით და გამოიყო ის ასპექტები, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებდნენ შეცვლას. იხ. გრაფიკი #2

გრაფიკი #2. ორგანიზაციის ასპექტები, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ ცვლილებას



იმ ასპექტებს შორის, რომლეთა ცვლილება თანამშრომლებმა საჭიროდ ჩათვალეს, გამოვყავით ის ასპექტები, რომელთა ცვლილება შესაძლებელი იყო ტრეინინგის მეშვეობით. ეს ასპექტებია:

1. ცნობადობა საზოგადოებაში.
2. იმიჯი "ბაზარზე".
3. მყარი პოზიცია "ბაზარზე".
4. გადანაწილებული პასუხისმგებლობა.
5. ორგანიზაციის შინაგანაწესი.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციის შემდეგ შევთანხმდით ტრეინინგის ფორმატზე. ორგანიზაციის დასაქმებულტა ეთნიკური შემადგენლობის და ენის ცოდნის გათვალისწინებით ტრენერი შეირჩა სომხეთიდან, რის გამოც მკვლევრის მონაწილეობა ტრეინინგებში შეიზღუდა.

ტრეინინგის დასრულებიდან 4 კვირაში ჩატარდა ტრეინინგის გავლენის კვლევა კვლევის იგივე ინსტრუმენტის – ტრიგონის ასპექტების ბადის მეშვეობით. ანალიზის ეტაპზე შევადარე ტრენინგამდე და ტრენინგის შემდგომი მონაცემები (იხ. გრაფიკი #3).

გრაფიკი #3. ორგანიზაციის შვიდი ასპექტის მნიშვნელოვანება და შეცვლის საჭიროება ტრენინგის შემდგომ.



თუ შევადარებთ ტრენინგამდე და ტრენინგის შემდგომ მონაცემებს, ვნახავთ, რომ ელემენტების უმეტესობამ ცვლილება განიცადა. ცალკეული ფუნქციების მნიშვნელოვნების და შეცვლის საჭიროების მაჩვენებლები შემცირდნენ. მნიშვნელოვნად თანამშრომლებმა იგივე ასპექტები მიიჩნიეს, რაც ტრენინგამდე მიაჩნდათ: ნათლად განაწილებული ფუნქციები თანამშრომელთა შორის; მოკლევადიანი პროექტების არსებობა და კომპეტენციის შესაბამისი დავალებების არსებობა, ხოლო წინა მაჩვენებლებისგან განსხვავებით შესაცვლელად მიაჩნიათ გრძელვადიანი პროექტების არსებობა. ეს შესაძლოა ორი მიზეზით აიხსნას: 1. რაც მათ მანამდე შესაცვლელად მიაჩნდათ გაითვალისწინა ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ და 2. ტრენინგის შემდგომ შეიცვალა თანამშრომელთა შეხედულებები.

პროცესების მნიშვნელოვნება დიდად არ შეცვლილა, ხოლო ცვლილებების საჭიროებამ დაიწია 6%-ით. ასპექტები, როგორც მნიშვნელოვნების, ისე შეცვლის საჭიროების მიხედვით იგივე დარჩა. ესეც შესაძლოა ავხსნათ იმით, რომ ტრენინგის დროს დიდი ყურადღება არ გაუმახვილებიათ პროცესებზე.

მნიშვნელოვნად შემცირდა პროცენტული მაჩვენებელი ელემენტ ხალხის მიმართ. მნიშვნელოვან ასპექტებად რჩება ტრენინგამდე ასპექტები, ხოლო შესაცვლელად მიიჩნიეს შემდეგი ასპექტები: ცოდნის მხრივ კომპეტენტური თანამშრომლები; თანამშრომელთა შესაძლებლობები; ნათლად გამოხატული როლები; გადანაწილებული პასუხისმგებლობა; გაწეული შრომის შესაფერისი ანაზღაურება; შრომითი კმაყოფილება და შრომითი მოტივაცია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრენინგზე არ გამახვილებულა ყურადღება ამ ყოველივეზე.

სტრუქტურამაც ხალხის მსგავსად განიცადა პროცენტული მაჩვენებლების შემცირება ორივე მიმართულებით. არც ასპექტების რაოდენობა შეცვლილა, უბრალოდ უფრო ნკლებმა ადამიანმა ჩათვალა გარკვეული ასპექტები შესაცვლელად თუ მნიშვნელოვნად.

იდენტობა არის ერთადერთი ელემენტი რომლის მნიშვნელოვნება და შეცვლის საჭიროება გაიზარდა ტრენინგის შემდგომი მონაცემებით. იდენტობაში შემავალი ათივე ასპექტი მნიშვნელოვნად მიიჩნიეს თანამშრომლებმა, ხოლო შესაცვლელად ჩათვალეს შემდეგი ასპექტები: ცნობადობა საზოგადოებაში; იმიჯი ბაზარზე; მყარი პოზიცია ბაზარზე და ორგანიზაციის შიგნით არსებული კულტურა. ეს ყოველივე გამოიწვია იმ

ინფორმაციამ, რომელიც თანამშრომლებმა ტრენინგის პროცესში მიიღეს. მანამდე მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს ორგანიზაცია, რას ნიშნავს ესა თუ ის ელემენტი ან რა მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ასპექტს.

ფიზიკურ საშუალებებს როგორც ტრენინგამდე, ასევე ტრენინგის შემდეგ თანამშრომელთა 100% თვლის მნიშვნელოვნად, თუმცა შეცვლის საჭიროება თუ მანამდე თანამშრომელთა 78%-მა გამოხატა, ახლა ეს მაჩვენებელი 8%-ით შემცირდა. ტრეინინგის გავლენით ზოგიერთმა თანამშრომელმა გადააფასა ღირებულებები, რამაც გამოიწვია შეცვლილი მდგომარეობა.

დასკვნა

პიონერულია ორგანიზაციის განვითარების ფაზა, როდესაც ორგანიზაციის ხელმძრვანელობა ერთპიროვნულია და დასაქმების პროცესი კი პირადი სიმპათიებითა და სოციალური და ნათესაური კავშრებით დეტერმინირდება. საქართველოში გვხვდება შემთხვევები, როდესაც პიონერულ ფაზაში მყოფ ორგანიზაციაში ჩართულია მთელი ოჯახი. სოციალური კავშირების გავლენით დასაქმების პროცესის მართვა ხშირად ორგანიზაციაში არაკვალიფიციური კადრების თავმოყრას იწვევს, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდის კადრების გადამზადებას და ზრდის ტრეინინგის მნიშვნელობას. ჩატარებული კვლევის მიზანი იყო შეეფასებინა ტრეინინგის გავლენა პიონერული ფაზაში მყოფი ორგანიზაციების განვითარებაზე. შესაბამისად ჩატარდა ტრეინინგის გავლენის კვლევა. კვლევა ჩატარდა ტრიკოტაჟის სამკერვალო სალონში და კვლევის ინსტრუმენტი იყო ტრიგონის ასპექტების ბადე, რომელშიც შედიოდა შვიდი ელემენტი თავისი ასპექტებით. ეკონომიკური რესურსის შეზღუდულობის პირობებში ფიზიკური საშაულებების გაუმჯობესება (რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიად გამოიყო) შეუძლებელი იყო, შესაბამისად ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ჩატარდა ტრეინინგები.

ტრენინგამდე და ტრენინგის შემდგომი მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავებულია. ტრეინინგების შემდეგ ელემენტების უმეტესობამ თანამშრომელთა თვალში მნიშვნელოვნებაც დაკარგა და არც მათი შეცვლა ჩათვალეს მნიშვნელოვნად. მაგალითად: ცალკეული ფუნქციების მნიშვნელოვნება შემცირდა 49%-იდან 38%-ზე, ხოლო ამ ელემენტის შეცვლის საჭიროება 33%-იდან 15%-ზე დავიდა. ხალხის მნიშვნელოვნება შემცირდა 5%–ით, ხოლო შეცვლის საჭიროება 21%–ით. მნიშვნელობის ცვლილება განიცადა სტრუქტურამაც. მისი მნიშვნელოვნება 18%-ით, ხოლო შეცვლის საჭიროება 9%-ით შემცირდა. პოლიტიკა, სტრატეგია და პროგრამების მნიშვნელოვნება შემცირდა 7%-ით, ხოლო შეცვლის საჭიროება 18%-ით შემცირდა.

რაც შეეხება პროცესებსა და ფიზიკურ საშუალებებს, მათი მნიშვნელოვნება უცვლელი დარჩა, შეცვლის საჭიროება კი შემცირდა. იდენტობა არის ერთადერთი ელემენტი, რომლის მნიშვნელოვანება 6%-ით, ხოლო შეცვლის საჭიროება 24%-ით გაიზარდა.

ამ ყოველივეს მიზეზი კი ტრენინგია, მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგი მიმართული იყო 5 ასპექტზე: ცნობადობა საზოგადოებაში; იმიჯი "ბაზარზე"; მყარი პოზიცია "ბაზარზე"; გადანაწილებული პასუხისმგებლობა; ორგანიზაციის შინაგანაწესი, მან მაინც მოახდინა გავლენა სხვა ასპექტებზე, რომელთა ერთობლიობაც ქმნის ორგანიზაციის ელემენტებს. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრენინგი დადებით გავლენას ახდენს პიონერულ ფაზაში მყოფი ორგანიზაციის განვითარებაზე.

ბიბლიოგრაფია:

კუტალაძე, ი. (1999). *ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.* თბილისი.

ქემფბელი, დ. (1992). *ბიზნესი არაბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისთვის.*

ჩარკვიანი, დ. (2001). *ინდუსტრიული ორგანიზაციის ფსიქოლოგია.* თბილისი.

Forgas J. (London). *Social episodes: The study of interaction routines.* 1979: Academic press.

Friedrich Glasl, B. L. (2001). *Dynamische Unternehmens entwicklung.*

Gregor D. (1985). *The human side of the enterprise.* N.Y.: Mc. Grow-Hill.

Kast, & F, R. J. (1972). General systems theory: Aplication for organization and management. *academy of management journal*.

Likert R. (1967). *Human organizations: It's management and value.* N.Y.: Mc Grow-Hill.

March J, S. H. (1958.). *Organizations.* N.Y.: Wiley.

Mc. Gregor D. (1985). *The human side of the enterprise.* N.Y.: Mc. Grow-Hill.

Scott. W, M. T. (1981). *organizational theory: A structural and behavioral analysis.*

Джонсон Р, К. Ф. (1971). ***системы и руководство***. москва.

Янг., С. (1972). ***системние организаций*** . москва.